ყვარლის მუნიციპალიტეტის „მედია ცენტრის“ გაზეთი
2018 წელი, 30 მარტი, №5 (6466)

ყვარელი

გამოდის 1932 წლიდან

ფასი 40 თეთრი

უწმიდესი და უნეტარესი, სრულიად საქართველოს კათოლიკოს-პატრიარქი ილია II

სიხარული მხოლოდ სიყვარულით განიცდება

ბზობა არის ერთ-ერთი უდიდესი ქრისტიანული დღესასწაული – იერუსალიმში იესო ქრისტეს დიდებით შესვლისა. ამქვეყნიური ცხოვრების მანძილზე იესო ქრისტე მრავალგზის შესულა იერუსალიმში, მაგრამ ეს განსაკუთრებული შესვლა იყო, შესვლა ზეიმით ოქროს კარიბჭიდან. იერუსალიმის დამცველ გალავანს რამდენიმე კარიბჭე ჰქონდა დატანებული, რომელთაგან ერთ-ერთი მთავარი ოქროს კარიბჭე იყო. იგი დღესაც არსებობს. როდესაც მე იერუსალიმში გახლდით, ეს კარიბჭეც ვინახულე. მისი სიგანე ხუთი მეტრი იქნება. დღეს იგი ამოქოლილია და როგორც წმიდა მამები ამბობენ, მეორედ მოსვლის ჟამს გაიხსნება.

სახარებაში ვკითხულობთ, რომ როცა უფალი ამ კარიბჭით ქალაქში შევიდა, მთელი იერუსალიმი შეიძრა და გამოეფინა მის შესახვედრად. ერთხმად ღაღადებდნენ და ადიდებდნენ იესო ქრისტეს; ასეთი დიდებული შეხვედრა იერუსალიმში მანამდე არცერთი მეფისა და არცერთი კეისრისათვის არ მოუწყვიათ. ხალხი არა მხოლოდ მწვანე რტოებს, არამედ სამოსელსაც იხდიდა და იმ სახედარს უფენდა, რომელზეც უფალი იჯდა. ბზის ტოტები, რომელნიც თქვენ ახლა გიჭირავთ ხელში, იმის მომასწავებელია, რომ თქვენც სიხარულით ხვდებით უფალს, რომელიც ჩვენთან მოდის და ჩვენთან დარჩება, უკეთუ ამას ჩვენ თვითონ მოვინდომებთ, რადგან სადაც რწმენა, ლოცვა, მიტევება და სიყვარულია, უფალიც იქაა.

მინდა ამ კურთხეულ დღეს თქვენი ყურადღება ერთ ფაქტზე გავამახვილო. მაშინ, როცა მთელი ერი ადიდებდა და ისე ხვდებოდა უფალს, იესო ქრისტე, ნაცვლად იმისა, რომ სიხარული დაუფლებოდა, ტიროდა. იგი ტიროდა იმიტომ, რომ იცოდა ადამიანის ბუნება, იცოდა, რომ იგივე ხალხი, რომელიც მას ზეიმით ხვდებოდა, სულ სამი-ოთხი დღის შემდეგ მის ჯვარზე გაკვრას მოითხოვდა. იგი თავისთავს კი არა, ამ ხალხს დასტიროდა, რადგან მან – ნათელი, რომელიც მის შორის იყო, ვერ იხილა და ღვთისგან ბოძებული მადლი და წყალობა უარყო.

მინდა შეგახსენოთ დღეს წაკითხული სამოციქულო. პავლე მოციქული ფილიპელთა მიმართ ეპისტოლეში წერს: გიხაროდენ მარადის უფლისა მიერ, კუალად გეტყვი, გიხაროდეს (ფილიპ. 4,4). შესანიშნავი სიტყვებია, რომელიც უდიდეს საიდუმლოს იტევს: გიხაროდენ მარადის, ე.ი. მხოლოდ დღეს კი არა, არამედ მარადის, მხოლოდ აქ, დედამიწაზე კი არა,

გაგრძელება მე-3 გვ. -ზე

ფრენბურთი – უმაღლესი ლიგა

„ყვარელი“ ეროვნული ჩემპიონატის ლიდერია

დაიწყო საქართველოს 27-ე ეროვნული ჩემპიონატი უმაღლესი ლიგის ვაჟთა გუნდებს შორის. უკვე გაიმართა ორი ტური და ორივე ჩატარდა თბილისში. დეკემბერში გამართული პირველი ტური, როგორც ყოველთვის, ძალთა მოსინჯვის ნიშნით წარიმართა, სადაც გუნდები, წინა ჩემპიონატის შედეგებიდან გამომდინარე, ერთმანეთის შესაძლებლობებს აწონ-დაწონიან ხოლმე. სპორტული კლუბი „ყვარელი“ ამჯერადაც ერთ-ერთი ფავორიტის როლში განიხილებოდა, მაგრამ გაუთვალისწინებელ გარემოებათა გამო, რაც წამყვანი მოთამაშეების ტრავმებით იყო გამოწვეული, პირველ ტურში ვერ შევძელით ჩვენი შესაძლებლობების სრულად გამოვლენა და ხუთიდან მხოლოდ სამი გამარჯვება მოვიპოვეთ, თუმცა ეს საკმარისი აღმოჩნდა პირველ ოთხეულში დასამკვიდრებლად. ყველასათვის მოულოდნელად პირველი ტურის შემდეგ გალიდერდა ბარშანდელი აუტსაიდერი ცაგერი, რომელმაც რამდენიმე თბილისელი ფრენბურთელით გააძლიერა შემადგენლობა და ხუთივე თამაშის მოგებით გათამაშების ცხრილის სათავეში მოექცა.

გაგრძელება მე-8 გვ. -ზე

31 მარტს ყველანი შაბათობაზე!

ტრადიციულად, აღდგომის წინა დღეებში სასაფლაოებზე მასიური შაბათობები ეწყობა, რომელშიც წარმოება-დაწესებულებების თანამშრომლებთან ერთად მოსახლეობაც აქტიურად მონაწილეობს.

იმისათვის, რომ მიცვალებულთა პატივგების დღეს სანიმუშოდ გამოიყურებოდეს მუნიციპალიტეტის ტერიტორიაზე არსერბული სასაფლაოები, ყვარლის მუნიციპალიტეტის მერიამ 31 მარტი გამოაცხადა დასუფთავების დღედ.

ამ დღისათვის მობილიზებული იქნება ტრანსპორტი, რათა მოგროვილი მეორადი ნარჩენები გატანილი იქნას ნაგავსაყრელებზე.

იმედია, ამ მეტად მნიშვნელოვან ღონისძიებაში აქტიურ მონაწილეობას მიიღებს ყველა ასაკის ადამიანი.

ყვარლის მუნიციპალიტეტის მერი საქართველოს წითელი ჯვრის საზოგადოების ხელმძღვანელობას შეხვდა

ყვარლის მუნიციპალიტეტის მერი როსტომ სესიაშვილი საქართველოს წითელი ჯვრის საზოგადოების წარმომადგენლებს კერძოდ, გენერალური მდივნის მოადგილეს კახაბერ მამულაძეს, სოციალური მიმართულების ხელმძღვანელს ნინო დიდბერიძეს, კატასტროფების რისკის შემცირების პროექტის მენეჯერს გვანცა ჟღენტს და კახეთის ფილიალის კოორდინატორს ლაშა შამიაშვილს შეხვდა.

მხარეებმა შეხვედრაზე განიხილეს მუნიციპალიტეტის მოსახლეობისთვის საარსებოდ მნიშვნელოვანი საკითხები და შეაფასეს ამ მიმართულებით წითელი ჯვრის საქმიანობა ადგილობრივ დონეზე.

დაიგეგმა „სამაგიდე სიმულაციური ვარჯიში“, რაც მუნიციპალურ სამსახურებს მოამზადებს კატასტროფებისა და საგანგებო სიტუაციების უკეთ მართვისთვის.

შეხვედრას ესწრებოდნენ, ყვარლის მუნიციპალიტეტის მერიის და საკრებულოს წარმომადგენლები და ორგანიზაციის ხელმძღვანელები.

„ილიას ტბა“ განახლებული ინფრასტრუქტურით კიდევ უფრო კეთილმოწყობილი და მიმზიდველი გახდება

როგორც წესი, მაისის ბოლოს საქართველოში ტურისტული სეზონი ოფიციალურად იხსნება. მანამდე კი აქტიურად მიმდინარეობს მოსამზადებელი სამუშაოები.

ზოგადად, ქვეყანაში კვლავ პრობლემად რჩება ტურიზმის ფუნქციონირებისათვის შესაბამისი ინფრასტრუქტურა და მიწოდება, რაც მნიშვნელოვნად ჩამორჩება არსებულ მოთხოვნას.

მართალია, ილიას ტბის გასართობი და დასასვენებელი კომპლექსი თავდაპირველად თანამედროვე სტანდარტების შესაბამისად გაკეთდა და მოეწყო, მაგრამ ბუნებრივია, არსებული ინფრასტრუქტურა პერიოდულად განახლებას და კეთილმოწყობას საჭიროებს, მითუმეტეს, თუ გავითვალისწინებთ იმასაც, რომ მოსახლეობის მხრიდან აქ არსებული გარემოს მიმართ უდიერად მოპყრობის ბევრი ფაქტი არსებობს.

მნიშვნელოვანია, ასევე რომ გათვალისწინებული იქნას შემდეგი სეზონისათვის მზადებისას დამსვენებელთა შენიშვნებიც. კეთილმოწყობილ ინფრასტრუქტურასთან ერთად დაცული იყოს უსაფრთხოების ნორმები, მნიშვნელოვანი აქცენტი გაკეთდეს კულტურულ და გასართობ ღონისძიებებზე, რაც ერთერთი მნიშვნელოვანი კომპონენტია გართობისა და დასვენებისთვის. სწორედ ამიტომ აქტიურად მიმდინარეობს ილიას ტბაზე სეზონისათვის მზადება, რის შესახებაც ვესაუბრეთ ა(ა)იპ კულტურული მემკვიდრეობის, სპორტულ-გამაჯანსაღებელი და დასასვენებელი ობიექტების დაცვისა და განვითარების ცენტრი-ს დირექტორს ДИМИТРИ СОЛОМНИШВИЛს.

– ბატონო დიმიტრი, რაში გამოიხატება ილიას ტბაზე სეზონისათვის მზადება?

– სეზონისათვის მზადება პირველ რიგში ითვალისწინებს ინფრასტრუქტურის განახლებას და მოწესრიგებას. აქედან გამომდინარე ჩვენი საქმიანობა ძირითადად ორიენტირებულია ილიას ტბის ტერიტორიის განახლებაზე და მოწყობაზე, რასაც ითვალისწინებს თანამედროვე სტანდარტები.

სუფთავდება კომპლექსის ტერიტორია, ირგვება ახალი ხეები – ფიჭვი, ნაძვი კედარი და სხვა ჯიშის ნერგები. ახლდება ინფრასტრუქტურა. ვაპირებთ ველოსიპედების შეძენას და წყლის ველოსიპედების განახლებას. სიახლე იქნება ის, რომ მთელ ტერიტორიაზე იქნება უფასო WI-FI სარგებლობა შესაძლებელი. სრულად განახლდება სტადიონი, საბავშვო აუზი, აქვე გაკეთდება თანამედროვე ტიპის გასახდელები. ასევე, ვაპირებთ შევიძინოთ ახალი შეზლონგები, ყველა სხვა საჭირო ინვენტარი.

მნიშვნელოვანია, რომ დაგეგმილი გვაქვს არაერთი კულტურული ღონისძიება, რომელიც ინტენსიურ ხასიათს მიიღებს.

– ზაფხულობით, სარწყავი არხის ჩამკეტის უმოქმედობის გამო, იცლება წყალსაცავი და უხერხულ ვითარებას ქმნის ცურვის მოყვარულთათვის, მოგვარდება თუ არა ეს პრობლემა?

გაგრძელება მე-2 გვ. -ზე

„დანერგე მომავალი“ – პროექტი რომელმაც ხელი შეუწყო ახალი ბაღების გაშენებას

პროექტი „დანერგე მომავალი“ 2015 წელს დაიწყო.მისი მიზანია საქართველოს ყველა მუნიციპალიტეტში (თბილისის, რუსთავის, ბათუმის და ფოთის გარდა) სასოფლო-სამეურნეო მიწების მიზნობრივი გამოყენების ზრდის მაქსიმალური ხელშეწყობა, მრავალწლოვანი ბაღების გაშენებისა და სანერგე მეურნეობების მოწყობის გზით.

დაფინანსების მისაღებად, ბენეფიციარმა სოფლის მეურნეობის პროექტების მართვის სააგენტოში უნდა წარმოადგინოს სანერგე მეურნეობის შექმნის დეტალური პროექტი (პროექტის წარმოდგენა უნდა განხორციელდეს სააგენტოს მიერ შემუშავებული სტანდარტის მიხედვით), თანმდევ დოკუმეტაციასთან ერთად, რის შემდგომაც, სააგენტო განიხილავს პროექტს და პროექტის პირობებთან შესაბამისობის შემთხვევაში, დასამტკიცებლად წარუდგენს თანადაფინანსების კომიტეტს, პროექტის დამტკიცების შემთხვევაში კი, სააგენტო განახორციელებს სანერგე მეურნეობის დაფინანსებას.

პროექტის „დანერგე მომავალი“ ფარგლებში სახელმწიფო თანადაფინანსების მოცულობა შეადგენს: ბაღის გაშენების შემთხვევაში – ნერგების ღირებულების 70%-ს და წვეთოვანი სარწყავი სისტემის ღირებულების 50%-ს; სანერგე მეურნეობის შემთხვევაში – მეურნეობის შექმნის ღირებულების 50 % – ს. ბაღის გაშენების ან სანერგე მეურნეობის მოწყობის სრულად დაფინანსების მიზნით, სახელმწიფო თანადაფინანსებასთან ერთად, ბენეფიციარს შეუძლია ისარგებლოს შეღავათიანი აგროკრედიტის პროგრამით.

სოფლის მეურნეობის სამინისტროს ცნობით, პროგრამის წარმატებით განხორციელების შედეგად 1 000 – 1 200 ჰა-ზე გაშენდება თანამედროვე ტიპის ბაღი და შეიქმნება 30 – 40 ახალი, თანამედროვე სანერგე მეურნეობა, რაც ხელს შეუწყობს, ერთი მხრივ, ადგილობრივ ბაზარზე იმპორტჩანაცვლების, ხოლო, მეორე მხრივ, საექპორტო პოტენციალის ზრდის პროცესს.

პროექტი „დანერგე მომავალი“ ინიცირებულია საქართველოს გარემოს დაცვისა და სოფლის მეურნეობის სამინისტროს მიერ და ახორციელებს სოფლის მეურნეობის პროექტების მართვის სააგენტო „ერთიანი აგროპროექტის“ ფარგლებში, სახელმწიფო ბიუჯეტის დაფინანსებით.

თანადაფინანსება ხორციელდება ორი დამოუკიდებელი კომპონენტის ფარგლებში:

ა) მრავალწლოვანი ბაღების თანადაფინანსების კომპონენტი (შემდგომში ბაღების კომპონენტი);

გაგრძელება მე-2 გვ. -ზე

„ილიას ტბა“ განახლებული ინფრასტრუქტურით კიდევ უფრო კეთილმოწყობილი და მიმზიდველი გახდება

დასაწყისი 1-ელ გვ. -ზე

– აქტიურად ვთანამშრომლობთ უკვე მელიორაციის სამსახურთან, ეს საკითხი გადაჭრილია, ისე დარეგულირდება წყლის დონე, რომ ამ მხრივ არც დამსვენებლებს და არც ადგილობრივ მოსახლეობას არ შეექმნება პრობლემა.

– ტბის მიდამოს განათება რა მდგომარეობაშია ამჟამად?

– რაც შეეხება კომპლექსის ტერიტორიის განათებას, ამჟამად მთლიანად მოგვარებულია ეს საკითხი. აღდგენილია განათების ბოძები და განათებულია, როგორც ბულვარი, ასევე ტბის მიმდებარე ტერიტორია.

– რა მდგომარეობაა უსაფრთხოების მხრივ, რამდენად დაცულები იქნებიან ცურვის მოყვარულები შესაძლო საფრთხეებისგან?



– უსაფრთხოების დაცვის მხრივ ყველაფერი წესრიგშია, მობილიზებულია სამაშველო სამსახური, შევიძინეთ ახალი სამაშველო ჟილეტები, უახლოეს პერიოდში გვექნება მოტორიანი ნავი, რომელიც ბევრად გაამარტივებს მათ მუშაობას. აღსანიშნავია, რომ აქამდე არცერთი ლეტალური შემთხვევა არ დაფიქსირებულა სამაშველო სამსახურის მიზეზით. ცხადია, ამ სეზონზე კიდევ უფრო მოწესრიგებული იქნება მათი საქმიანობა.

– არსებობს კიდევ ერთი მნიშვნელოვანი საკითხი, რაც ეხება ტბის დაბინძურებას. ხშირ შემთხვევაში ადგილი აქვს სანაპიროს გასწვრივ ნაგვის დაგროვებას, წყალში ტივტივებს პლასტმასის ბოთლები, სიგარეტის ნამწვები და ყოველგვარი ნაგავი. მე ვფიქრობ, რომ ამასთან დაკავშირებით საჭიროა მკაცრი ინსპექტირება ხდებოდეს, დაწესებული იყოს თუნდაც ჯარიმები, რათა ასე არ ბინძურდებოდეს წყალი. ეს ფაქტი, თავისთავად ხელს უშლის და აქ მოსვლის სურვილს უკარგავს ბევრ ადამიანს. ამ მიმართებით თუ გეგმავთ რაიმე სახის ღონისძიებას ან სანქციებს?

– ამ საკითხთან დაკავშირებით მიმდინარეობს მუშაობა. ჯერჯერობით სერიოზული სანქციები არ არის დაწესებული, ვინაიდან ამისათვის ცალკე სამსახურის შექმნაა საჭირო. თუმცა დაცვის სამსახური შეძლებისდაგვარად მეთვალყურეობას უწევს და აკონტროლებს ამ მხრივ სიტუაციას და მათ შეუძლიათ მხოლოდ სიტყვიერად გააფრთხილონ ის ხალხი ვინც ზიანს აყენებს გარემოს.

– რა სახით გაიხსნება სეზონი?

– მაისში დაგეგმილი გვაქვს სეზონის გახსნა. ამასთან დაკავშირებით მოეწყობა მრავალფეროვანი კულტურული ღონისძიებები – კონცერტები, სხვადასხვა სპორტული შეჯიბრებები, აქვე გათამაშდება ერთთვიანი უფასო აბონიმენტი, სადაც გამოვლინდება სამი გამარჯვებული, რომელთაც შესაძლებლობა ექნებათ ერთ თვის განმავლობაში ისარგებლონ უფასოდ როგორც წყლის ასევე ჩვეულებრივი ველოსიპედებით და სხვა.

ფეიერვერკების ფონზე სხვა მრავალი საინტერესო მოვლენების მომსწრე გახდება დამსწრე საზოგადოება.

ია გიგიაშვილი

„დანერგე მომავალი“ – პროექტი რომელმაც ხელი შეუწყო ახალი ბაღების გაშენებას

დასაწყისი 1-ელ გვ. -ზე

ბ) სანერგე მეურნეობების თანადაფინანსების კომპონენტი (შემდგომში სანერგეების კომპონენტი);

პოტენციურ ბენეფიციარს შეუძლია ისარგებლოს პროგრამის ორივე კომპონენტით დადგენილი წესებითა და პირობებით.

პროექტი მიზნად ისახავს:

1) საქართველოში არსებული სასოფლო-სამეურნეო მიწების ეფექტურ გამოყენებას მრავალწლოვანი კულტურების გაშენების გზით, რის შედეგადაც განხორციელდება იმპორტირებული პროდუქციის ჩანაცვლება და გაიზრდება საექსპორტო პოტენციალი, გაადვილდება გადამამუშავებელი საწარმოების ნედლეულით უზრუნველყოფის შესაძლებლობა და გაუმჯობესდება სოფლად მოსახლეობის სოციალურ-ეკონომიკური მდგომარეობა;

2) ადგილობრივი მაღალხარისხიანი, ფიტოსანიტარულად სუფთა სარგავი მასალების (ნერგების) წარმოების მხარდაჭერას, რის შედეგადაც შესაძლებელი გახდება თანამედროვე ინტენსიური ბაღების გაშენებით დაინტერესებული პირებისათვის იმპორტირებულთან შედარებით იაფი სარგავი მასალების შეთავაზება. ეს ყოველივე კი, თავის მხრივ, ხელს შეუწყობს საქართველოში ახალი ბაღების გაშენებას და მეხილეობის სექტორის რაოდენობრივ და თვისობრივ გაუმჯობესებას.

2015 წლის მარტიდან პროექტს „დანერგე მომავალი“ ფისტას და სუფრის ყურძნის წარმოება დაემატა.

ამის შესახებ პრემიერ მინისტრმა გიორგი კვირიკაშვილმა განაცხადა.

„მოგეხსენებათ, რომ უკვე 3 წელია წარმატებით ხორციელდება პროექტი „დანერგე მომავალი“. ეს გახლავთ მაღალპროდუქტიული სახილე ჯიშების განვითარება ქვეყანაში. უკვე გვაქვს ძალიან მნიშვნელოვანი შედეგი – საქართველოში 4 700 ჰექტარზე გაშენდა ახალი ბაღები.

სახელმწიფო აფინანსებს 70 %-ს ნერგების საფასურს და ასევე, წვეთოვან სარწყავ სისტემაზე არის 50%-იანი გრანტი გათვალისწინებული.

დამეთანხმებით, რომ ეს არის უდიდესი შესაძლებლობა თითოეული იმ ადამიანისთვის, რომელიც სოფლის მეურნეობაშია ჩართული და ამ მიმართულებით ჩვენ ვამატებთ ორ ახალ კულტურას: სუფრის ყურძნის, წარმოებას – ხაზს ვუსვამ, ეს არ არის ღვინისთვის განკუთვნილი ჯიშები, ეს არის სუფრის ყურძნის ჯიშები და ასევე, ფისტას კულტურას, რომელზეც ძალიან დიდი მოთხოვნაა დღეს მსოფლიოში, საქართველოში კი ძალიან კარგი შესაძლებლობაა ფისტას წარმოების.

ასევე, მოგეხსენებათ, რომ სამწუხაროდ ქვეყანაში, რომელიც არის უძველესი ღვინის კულტურის ქვეყანა, სუფრის ყურძენი დღეს, თითქმის, მთლიანად იმპორტით შემოდის საქართველოში.

მხოლოდ ბოლო პერიოდში დაიწყო სუფრის ყურძნის ჯიშების წარმოება და ვფიქრობთ, რომ ამ მიმართულებით თანადაფინანსება იქნება ძალიან მნიშვნელოვანი – ქვეყანაში იმპორტის ჩანაცვლებისა და რა თქმა უნდა, ადგილობრივი სასოფლო სამეურნეო პოტენციალის განსავითარებლად“. – განაცხადა კვირიკაშვილმა.

იმის გამოსარკვევად, აღნიშნული პროგრამით თუ რამდენმა ბენეფიციარმა ისარგებლა და რამდენ ჰექტარზე იქნა გაშენებული ხეხილის ბაღები ყვარლის მუნიციპალიტეტში გარემოს დაცვისა და სოფლის მეურნეობის სამინისტროს ყვარლის საინფორმაციო – საკონსულტაციო სამსახურის უფროსს მამუკა ბერიაშვილს შევხვდით და ვთხოვეთ კონკრეტულ კითხვებზე გაეცა პასუხი.

– ბატონო მამუკა რამდენი ფერმერი ჩაერთო პროგრამაში „დანერგე მომავალი“ და რამდენ ჰექტარზე არის გაშენებული მრავალწლიანი ბაღები ყვარლის მუნიციპალიტეტში?

– სანამ უშუალოდ შეკითხვაზე გაგცემთ პასუხს, მოკლედ პროგრამის შესახებ მივაწვდი ინფორმაციას თქვენს მკითხველებს. პროგრამა „დანერგე მომავალი“ მიზნად ისახავს საქართველოში არსებულ სასოფლო-სამეურნეო მიწების ეფექტურ გამოყენებას მრავალწლიანი კულტურების გაშენების გზით. კახეთის რეგიონში პროგრამა აფინანსებს თითქმის ყველა აპრობირებულ კულტურას, მათ შორის სუფრის ყურძენს. ბაღების კომპონენტის ფარგლებში დაფინანსდება შესაძენი ნერგების ღირებულების არაუმეტეს 70 პროცენტი, როგორც ადგილობრივ ბაზარზე, ასევე იმპორტის შემთხვევაში. ამავდროულად დაფინანსდება სასოფლო-სამეურნეო მიწის ნაკვეთზე წვეთოვანი სარწყავი სისტემის მონყობის ღირებულების 50 პროცენტი, არაუმეტეს 2500 ლარისა ერთ ჰექტარზე.

პროგრამაში „დანერგე მომავალი“ გასულ და მიმდინარე წელს ჩაერთო 30 ბენეფიციარი და გაშენდა 200 ჰექტრამდე ფართობზე ხეხილის ბაღები. განსაკუთრებით დიდ ფართობებზე გაშენდა ჩენდლურის ჯიშის კაკალი, რომლის ნერგების ღირებულება 15-დან 19 ლარის ფარგლებში მერყეობს და სახელმწიფოს თანადაფინანსება 10-12 ლარს შეადგენს. გაშენდა თხილის, ვაშლის, ბალის, ნუშის, ჟოლოს და მაყვლის პლანტაციები.

– სახელმწიფოს მიერ განსაკუთრებული ყურადღება დაეთმო მაღალხარისხიანი, ფიტოსანიტარულად სუფთა ადგილობრივი სარგავი მასალების წარმოების მხარდაჭერას, თუ შეიქმნა ამ პროგრამით სანერგე მეურნეობა ყვარლის მუნიციპალიტეტში?

– პროგრამა „დანერგე მომავალი“ ასევე ისახავს მიზნად ადგილობრივი მაღალი ხარისხიანი, ფიტოსანიტარულად სუფთა სარგავი მასალების (ნერგების) წარმოების მხარდაჭერას, რაც შესაძლებელს გახდის თანამედროვე ინტენსიური ბაღების გაშენებით დაინტერესებული პირებისთვის იმპორტულთან შედარებით იაფი სარგავი მასალების შეთავაზებას. ეს კი თავის მხრივ ხელს შეუწყობს ქვეყანაში ახალი ბაღების გაშენებას და მებაღეობის სექტორის რაოდენობრივ და თვისობრივ გაუმჯობესებას.

– სუფრის ყურძნის, ფისტას კულტურების გაშენების მხრივ რა მდგომარეობაა, ვინაიდან ორივე პროდუქტზე მნიშვნელოვნად გაიზარდა მოთხოვნილება მსოფლიოში.

– პროგრამა ითვალისწინებს ფისტი-ს და სუფრის ყურძნის კულტურის გაშენების წახალისებას, რაზეც დიდადაა გაზრდილი მოთხოვნილება მსოფლიო და ადგილობრივ ბაზარზე. ჩვენი ბაზრები გაჯერებულია სომხეთიდან და სხვა ქვეყნებიდან შემოტანილი სუფრის ყურძნით, რომელიც ხარისხით მნიშვნელოვნად ჩამოუვარდება ჩვენთან მოყვანილი ყურძნის ხარისხს, თუმცა ვიზუალურად იდეალურად ჩანს და მყიდველის თვალს იტაცებს. რაიონში გვაქვს 5 ჰექტრამდე ფართობზე სუფრის ყურძნის ვენახი, ასევე გაშენდა გასულ წელს 2,5 ჰექტარზე. ფერმერების სურვილი დიდია სუფრის ყურძნის გაშენებაზე, რასაც აფერხებს მის შესანახად შესაბამისი პირობების, ანუ სამაცივრე მეურნეობების არ არსებობა. ასევე საკმაოდ მაღალშემოსავლიან კულტურათა მიკროზონაში მოყვანილი საფერავის ვენახი. მიმდინარე წელს საფერავის ყურძნის ფასმა 2,20-2,50 ლარამდე აიწია, რამაც მნიშვნელოვნად გაზარდა ვენახის ფართობები. რაც შეეხება ფისტა-ს, მის გაშენებაზე ჯერჯერობით მოთხოვნა მუნიციპალიტეტში ნაკლებია. სამაგიეროდ დიდ ფართობებზე შენდება პროგრამის ფარგლებში ნუშის, ჟოლოს, მაყვლის, ზეთისხილის ფართობები.

– თუ ისარგებლეს წვეთოვანი სარწყავი სისტემების მოსაწყობად 50 პროცენტიანი გრანტებით?

– გარემოს დაცვისა და სოფლის მეურნეობის სამინისტროს პროექტების მართვის სააგენტო ახორციელებს აგროწარმოების პროგრამას, რომლის მიზანია პირველადი წარმოების პროდუქტის ხარისხისა და მოსავლიანობის ზრდის ხელშეწყობა და სოფლის მეურნეობაში საერთაშორისო სტანდარტების და თანამედროვე ტექნოლოგიების დანერგვა. პროგრამის ფარგლებში გათვალისწინებული სახელმწიფოს თანადაფინანსება შეადგენს პროექტის ჯამური ღირებულების 40 პროცენტს, ხოლო ბენეფიციარის თანამონაწილეობა – 60 პროცენტს. პროგრამით ხორციელდება არსებული ან ახალი ბაღების განახლება, თანამედროვე სარწყავი სისტემების (პროექტით 10 ჰექტარზე) მოწყობა ბაღებში, სასათბურე მეურნეობების მოწყობა-განახლება, თაფლის წარმოების თანადაფინანსება, სასოფლო-სამეურნეო ტექნიკა-აღჭურვილობის შეძენა (ახალი არაუმეტეს 75 ცხენისძალიანი ტრაქტორის შეძენა), მოსავლის პირველადი გადამუშავებისათვის საჭირო დანადგარების შეძენა და სხვა. აღნიშნული პროექტით გასულ წელს ისარგებლა 25-მა ბენეფიციარმა. 50 ჰექტარზე მოეწყო წვეთოვანი სარწყავი სისტემა, 20-მდე ბენეფიციარმა შეიძინა ტრაქტორი და მასზე მისაბმელი მოწყობილობები, შპს „ენისელი-ბაგრატიონმა“ შეიძინა მანქანა-დანადგარები ხილის გადასამუშავებლად. მიმდინარე წელს მიიღეს და გადაამუშავეს ხილი და დაამზადეს წვენები.

– ახალ პროგრამაზე რას გვეტყვით, რომელიც ახალგაზრდობის დასაქმებას ითვალისწინებს?

– სოფლად ახალგაზრდა მეწარმეების მხარდაჭერის მიზნით ხორციელდება პროგრამა „ახალგაზრდა მევენახე“, რომლის მიზანია სტიმული მიეცეს სოფლად ახალგაზრდა მეწარმეების ბიზნესში ჩართულობას. პროექტის ფარგლებში მოხდება ახალი ბიზნესის დასაწყებად საჭირო ხარჯების თანადაფინანსება. დაფინანსდება ინდივიდუალური მეწარმე, რომლის ასაკი შეადგენს 18-35 წლის ჩათვლით მამაკაცების შემთხვევაში, ხოლო 18-40 წლის ჩათვლით ქალების შემთხვევაში. პროექტის ფარგლებში თანადაფინანსდება ვენახის გაშენებაც (რქაწითელის გარდა), ასევე ტურიზმისთვის გამოსაყენებელი ინფრასტრუქტურა. საუბარში ყურადღება გავამახვილეთ იმ პროექტებზე, რომელიც მუნიციპალიტეტისთვის აქტუალურია. არის სხვა პროექტებიც, რომელთაც გარკვეული როლი შეუძლიათ შეასრულონ მუნიციპალიტეტის ფერმერთა ეკონომიკური მდგომარეობის გაუმჯობესების საქმეში.

– ბატონო მამუკა, დანარჩენი პროექტების შესახებ მოსახლეობას ინფორმაცია მივაწოდოთ მომდევნო გაზეთის საშუალებით. გმადლობთ გულახდილი საუბრისთვის, გისურვებთ წარმატებებს სოფლის მეურნეობის დარგის აღმავლობისათვის დაწყებულ საქმიანობაში.

ესაუბრა
ალექსანდრე გიგილოშვილი

უწმიდესი და უნეტარესი, სრულიად საქართველოს კათოლიკოს-პატრიარქი ილია II
სიხარული მხოლოდ სიყვარულით განიცდება



დასაწყისი 1-ელ გვ. -ზე

არამედ აქაც და იქაც, იმ ქვეყანაშიც. გიხაროდეს მარადის უფლისა მიერ, ანუ შენი სიხარული დაუსრულებელი და მარადიული მაშინ იქნება, თუ იგი უფლის მიერაა მონიჭებული, თუკი იგი უფლის რწმენასა და სიყვარულზეა დაყრდნობილი.

საერთოდ გიხაროდენ არა მიწიერი, არამედ ზეციური მისალმებაა. თქვენ გახსოვთ, როდესაც ყოვლადწმიდა ღვთისმშობელს უფლის ბრძანებით მთავარანგელოზი გაბრიელი გამოეცხადა, პირველი სიტყვა, რომლითაც მიმართა, იყო გიხაროდენ. გიხაროდენ, მიმადლებულო მარიამ, უფალი შენთანაა. აი, როდის უხარია ჭეშმარიტად ადამიანს, როდესაც უფალი მასთანაა. თქვენ ალბათ შემეპასუხებით, მიწიერი სიხარულიც ხომ არსებობსო, რა თქმა უნდა არსებობს და მას არც უფალი უარყოფს, მაგრამ განსხვავება ისაა, რომ მიწიერი სიხარული წუთიერი და წარმავალია, უფლისმიერი კი – მარადიული. ამიტომაც ამბობს პავლე მოციქული: გიხაროდენ მარადის უფლისა მიერ. შესაძლებელია მდიდრულმა სახლ-კარმა თუ ძვირფასმა ნივთმა ერთ დღეს, ორ დღეს, ერთ თვეს გაგახაროთ, მაგრამ შემდეგ სიხარული ნელ-ნელა განელდება და ბოლოს სულ გაქრება. ასეთივეა ის სიხარულიც, რომელსაც რომელიმე ამქვეყნიური დიდი ხნის ოცნების აღსრულება გვანიჭებს. თქვენ შემეკითხებით, როგორ მოვიპოვოთ მარადიული სიხარული, რომელზეც პავლე მოციქული ლაპარაკობს. მისი მოპოვების გზას თავად მოციქული გვასწავლის, როცა ამავე ეპისტოლეში მოგვიწოდებს: ამიერითგან, ძმანო, რაოდენი არს ჭეშმარიტ, რაოდენი პატიოსან, რაოდენი მართალ, რაოდენი წმიდა, რაოდენი საყუარელ, რაოდენი საქებელ, რაოდენი სათნო და რაოდენი ქებულ, აი, თუ ამ თვისებებით – პატიოსნებით, სიმართლით, სიწმინდით და სათნოებით შევიმოსებით, უფალი ჩვენთან იქნება, ხოლო უკეთუ უფალი ჩვენთან იქნება, მაშასადამე სიხარულიც ჩვენთან იქნება. სიხარული ხომ სიყვარულიდან მომდინარეობს. ვისაც სიყვარული არ შეუძლია, მას არც სიხარულის განცდა ექნება. მაგალითი თუნდაც მიწიერი ცხოვრებიდან მოვიტანოთ. როდესაც თქვენ ვინმე გიყვართ, გინდათ განუშორებლად მასთან იყოთ და ამ დროს სხვა აღარავინ და აღარაფერი გახსოვთ. მით უმეტეს, რამდენად საყვარელი და სათნოა უფალი, რომელიც თვითონ არის უზენაესი სიყვარული. მაშასადამე, თუ ღმერთი ჩვენთან იქნება, ჩვენთან იქნება მარადიული სიხარულიც. თანამედროვე კაცობრიობას სწორედ ეს სიხარული აკლია, რადგან მან რწმენა და სიყვარული დაკარგა. თუ იგი კვლავ დაიბრუნებს რწმენას და სიყვარულს, სიხარულიც დაუბრუნდება.

მე შევსთხოვ უფალსა ჩვენსა იესო ქრისტეს, რომ ის რწმენა და სიყვარული, რომლითაც მან ჩვენი კურთხეული ერი დააჯილდოვა, არ დავკარგოთ, შევსთხოვ, რომ მთელ ქვეყანასა და მთელ საქართველოს ბედნიერი აღდგომა გაუთენოს.

განსაკუთრებით მინდა ვილოცო იმ ქართველებისათვის, რომელნიც უცხოეთში ცხოვრობენ და მშობლიური მიწა-წყალი ენატრებათ. ღმერთმა ყველანი შეგიწყალოთ და მტერი მოყვარედ და გლოვა სიხარულად გადაგიქციოთ.

შეგახსენებთ, რომ აღდგომამდე დარჩენილ ერთ კვირას ვნების შვიდეული ეწოდება. ვისაც ამდენ ხანს არ უმარხულია, კარგი იქნება ეს ერთი კვირა მაინც იმარხულოს. ორშაბათს, სამშაბათსა და ოთხშაბათს პირველშეწირულის წირვა შესრულდება, ხუთშაბათს იქნება ზეთის კურთხევა, რომელიც შვიდი საიდუმლოდან ერთ-ერთს წარმოადგენს. იგი განსაკუთრებული საიდუმლოა, რომელიც იშვიათად, წელიწადში ერთხელ სრულდება. როგორც წმიდა მამები გვასწავლიან, იგი სულისა და ხორცის საცხოვნებელია, რადგან ადამიანს ის ცოდვები ეპატიება, რომელთა თქმაც აღსარებაში დაავიწყდა. ზეთის ცხების შემდეგ ათ საათზე დაიწყება წირვა, რადგან ეს ის დღეა, როცა ჩვენ საიდუმლო სერობას ვახსენებთ. თქვენ გახსოვთ, რომ ამ დღეს უფალმა ზიარება დაანესა და თავისი მოციქულები პირველად აზიარა. ამიტომ თქვენც შეეცადეთ, რომ უზიარებელი არ დარჩეთ. წირვის შემდეგ ფერხთბანა შესრულდება.

ხუთშაბათს საღამოს იქნება ცისკარი, რომელზეც 12 ვნების სახარება იქნება წაკითხული. პარასკევს დილას ჟამნობა დაიწყება, ხოლო 2 საათზე გარდამოხსნის გამოსვენება. შაბათს დილას წირვა შესრულდება, ხოლო შუაღამეზე კი – შუაღამიანი და სააღდგომო ლიტანიობა.

ღმერთმა ბედნიერი და სიხარულის მომტანი აღდგომა გაგითენოთ თქვენ და სრულიად საქართველოს, ამინ!

1 მაისი, 1983 წ.

orthodoxy.ge

ბზობა – ბაიაობა

უფლის დიდებით შესვლა იერუსალიმში

მართლმადიდებელი ეკლესია დიდმარხვის მეექვსე კვირა დღეს ზეიმობს მაცხოვრის იერუსალიმში დიდებით შესვლას, რასაც ქრისტიანები ბაიაობას ანუ ბზობას უწოდებენ. ეს გახლავთ ათორმეტთაგან რიგით პირველი მოძრავი დღესასწაული, რომელიც ყოველთვის ემთხვევა ბრწყინვალე აღდგომის წინა კვირა დღეს.

„...ერი მრავალი, რომელ-იგი მოსრულ იყვნეს დღესასწაულსა მას, რამეთუ ესმა, ვითარმედ იესო მოვალს იერუსალემდ, მოიღეს რტოები დანაკის კუდთაგან და განვიდეს მიგებებად მისა, ღაღადებდეს და იტყოდეს: ოსანა! კურთხეულ არს მომავალი, მეუფე ისრაელისაი!“, – ასე აღწერს იოანე მახარებელი მაცხოვრის იერუსალიმში დიდებით შესვლის ამბავს.

მაცხოვრის შესვლა იესუსალიმს ძლევამოსილი მეფის სატახტო ქალაქში შესვლას ჰგავდა. უბრალო ადამიანებმა საზეიმო შეხვედრა მოუწყვეს უფალს. ეს ზეიმი წინასწარ არავის მოუმზადებია, ის ადამიანთა ყველაზე წმინდა, ყველაზე წრფელი გრძნობების უეცარი და, შეიძლება ითქვას, უფლის მიერ შთაგონებული გამოხატულება იყო. ასე ხდება, როცა ადამიანი ხარობს ღვთის დიდებულებისა და მისთა საკვირველთა საქმეთა გამო.

ამავე დროს, წმიდა სახარება საცნაურს ხდის იმ ფაქტს, რომ უფალი ჩვენი, იესო ქრისტე, ყოველთვის გაურბოდა მიწიერ პატივსა და დიდებას. ის თავმდაბლობითა და სიმშვიდით იფარავდა თავს ამქვეყნიური ზეობისაგან.

როდესაც მაცხოვარი მიუახლოვდა ბეთბაგესა და ბეთანიის მთას, რომელსაც ზეთისხილის მთა ეწოდება, ორი მოწაფე უახლოეს სოფელში გაგზავნა, რათა მიეყვანათ მისთვის შესასვლელშივე დაბმული ვირი და ჩოჩორი, რომლის ზურგზეც ჯერ არავინ მჯდარიყო. მოციქულებმა ბრძანება შეასრულეს. ეს ყველაფერი იმისთვის მოხდა, რომ აღსრულებულიყო წინასწარმეტყველება ზაქარიასი: „და პოვა იესო ვირი და დაჯდა მას ზედა, ვითარცა წერილ არს: ნუ გეშინინ, ასულო სიონისაო! აჰა ესერა მეუფე შენი მოვალს შენდა და ზე ზის იგი კიცვსა ვირისასა“ (იოანე 12, 14-15).

იერუსალიმისაკენ დიდებით მიმავალი ხალხი სამოსელს უფენდა გზაზე, ზოგს კი პალმის (ბზის) რტოები ეკავა და ასე ეგებებოდა მაცხოვარს. ყოველი მხრიდან ისმოდა ღაღადისი: „ოსანა ძესა დავითისასა, კურთხეულ არს მომავალი სახელითა უფლისაჲთა! ოსანა, რომელი ხარ მაღალთა შინა!“ (მათე 21, 9).

ბზის ან პალმის მშვენიერებით ეკლესია უფრო ცხოვლად გამოხატავს უფლის დიდებით შესვლად იერუსალიმში. ეს დიდი ხნის ტრადიციაა. V საუკუნის სასულიერო მოღვაწე, კონსტანტინეპოლის მთავარეპისკოპოსი წმიდა პროკლე, თავის ერთ-ერთ სიტყვაში ასე ამბობს: „ხელთ ვიპყრათ პალმის ტოტები და შევეგებოთ დიდებით მომავალს უფალს ჩვენსას“.

ღმერთი კი ყოველ ჩვენგანს სთხოვს, სულიერად შეეგებოს მას, სამოსლის ნაცვლად გული გაუფინოს კიცვზე მჯდომ მეუფეს, მხურვალე ლოცვა და თაყვანისცემა კი ბზის ტოტებივით მიართვას და ისე მიიღოს უფალი საკუთარ სულში, როგორც იერუსალიმში.

იერუსალიმს დიდებით შესვლით უფალმა მორწმუნეებს სიყვარულის გამომჟღავნების საშუალება მისცა, ხოლო მოძულეებსა და მტრებს – მისი შეცნობისა და სინანულად მოქცევისა.

მოამზადა შალვა კეკელიამ

ჟურნალი „კარიბჭე“, აპრილი, 2004 წ.

მთავარეპისკოპოსი ზოსიმე (შიოშვილი)

სახელითა მამისათა, და ძისათა და სულისა წმიდისათა.

საზეიმო იყო ძმანო უკანასკნელი მსვლელობა მაცხოვრისა იერუსალიმში. იგი სახედარზე მჯდომი და ზღვა ხალხით იყო გარშემორტყმული, როგორც მეფე და მბრძანებელი. დღესასწაულზე წმიდა ქალაქში მრავლად ჩამოსულებმა, გაიგეს რა იესოს გამოჩენა, ხის ტოტებით გამოვიდნენ მის შესახვედრად. ზოგი წინ გაუძღვა, ზოგიც თან გაჰყვა მაცხოვარს, ერთნი სიხარულით ტანსაცმელს უფენდნენ გზას მიმავალს, მეორენი კი – ტოტებს ხისას. მარტო დიდები კი არა, პატარა ბავშვებიც განსაკუთრებულ სიხარულს მოეცვა. ისინი ოსანასა და ვაშას შეძახილით მიეგებნენ მეუფეს ჰურიათას: „ოსანა ძესა დავითისასა! კურთხეულ არს მომავალი სახელითა უფლისათა! ოსანა რომელი ხარ მაღალთა შინა“ (მთ. 21, 9).

მიუხედავად ასეთი საზეიმო შეხვედრისა, მახარებელ ლუკას თქმით, როცა მიუახლოვდა ქალაქს იესო „სტიროდა მას ზედა“ (ლკ. 19, 41). რას უნდა ნიშნავდეს ძმანო უფლის ამგვარი მოქმედება? რა ატირებდა მას ერთს, როცა მის ირგვლივ მყოფთ სიხარული დაუფლებოდათ? ნუთუ მას არ ახარებდა სითბო და პატივისცემა, მასთან შეხვდრისას რომ გამოჩინეს ურიებმა?

იერუსალიმელნი მართლაც მიეგებნენ იესო ქრისტეს როგორც მეუფეს ისრაელისას. ისინი შეხვდნენ ქრისტეს, როგორც ქვეყნიურ მბრძანებელს და არა როგორც მესიას. ებრაელნი ფიქრობდნენ, რომ ქრისტე დაბრძანდებოდა რა დავითის ტახტზე, უპირველესად გაათავისუფლებდა მათ რომაელთა მონობისაგან, შემდეგ კი სხვა ხალხებზეც გააბატონებდა და აურაცხელ ქვეყნიურ სიმდიდრესა და პატივს მოუტანდა. აი ასეთ მეუფეს ეგებებოდა იერუსალიმი. რამდენს არ ეცადა უფალი თავისი ქვეყნიური მოღვაწეობისას განეფანტა ურიებს შორის ეს მცდარი მოსაზრება, მაგრამ ხალხს სხვანაირი მეუფე და მხსნელი არ და ვერ წარმოედგინა. იცოდა ეს უფალმა და კიდეც განიცდიდა. მაშინ, როდესაც ერთნი საზეიმოდ ეგებებოდნენ ძე ღვთისას როგორც საკუთარ მეუფეს, სხვები – მისი მოწინააღმდეგენი, მნიგნობრები და ფარისევლები, კიდევ უფრო მეტი სიძულვილით განეწყვნენ მის მიმართ და ეძებდნენ მარჯვე მომენტს, რომ მოეკლათ> უფალი იმასაც გრძნობდა, რომ ეს მოზეიმე ხალხი, რომელიც ეხლა ოსანასა და ვაშას შესძახოდა, რამოდენიმე დღის შემდეგ მას სრულიად მიატოვებდა და მისი მტრების მხარეზე დადგებოდა. იესომ იცოდა, რომ ხალხი რომელიც საზეიმოდ ეგებებოდა მას როგორც მეუფეს ისრაელისას, იგივე მეუფეს რამოდენიმე დღის შემდეგ ჯვარზე სატანჯველად და სასიკვდილოდ გაიმეტებდა.

იესო ქრისტე უფრო შორსაც იხედებოდა: იგი წინასწარ გრძნობდა თუ როგორ შემოერტყმებოდნენ ებრაელი ხალხის მტრები, – რომაელნი, იერუსალიმს გარს, და როგორ აქცევდნენ მას ნანგრევებად, რადგან ურიანი ვერ იცნობენ ქრისტეს როგორც მხსნელსა და მაცხოვარს და გაიმეტებენ მას მოსაკლავად. ამიტომ ამბობდა იგი: „უკეთუმცა გეცნა შენ დღესა ამას მშვიდობად შენდა. ხოლო ან დაეფარა თვალთაგან შენთა“ (ლკ. 19, 42). უწყოდა ყოველივე ეს უფალმა და ამიტომ ტიროდა. მიუხედავად საზეიმო შეხვედრისა და სიხარულისა უფალი ხედავდა ყოველივეს, რაც მათ გულში იმალებოდა. უფალი ამჩნევდა არა მარტო იმას, რაც მის თვალწინ ხდებოდა, არამედ იმასაც, რაც იმავე ქალაქში მის წინააღმდეგ მზადდებოდა და რაც ამ ქალაქს მომავალში ელოდა.



დღეს ჩვენც ვდღესასწაულობთ საყვარელნო, ქრისტე მაცხოვრის იერუსალიმში დიდებით შებრძანებას, დღეს ჩვენც ვეგებებით მას ბზის ტოტებით, როგორც მხსნელსა და მაცხოვარს და მოზეიმე იერუსალიმელთა მსგავსად ჩვენც ვუღაღადებთ მას: „ოსანა მაღალთა შინა, კურთხეულ არს მომავალი სახელითა უფლისათა“.

მაგრამ, ალბათ როგორც მოზეიმე იერუსალიმელთ, ზოგიერთს დღესაც ქრისტე ძლევამოსილ ქვეყნიურ მეუფედ წარმოუდგენია. ბევრი დღესაც უფალს მხოლოდ იმისათვის მიმართავს, რომ ქვეყნიური სიკეთე გამოსთხოვოს მას. მარტო ქვეყნიურის გამოდევნებამ კი როგორც ვიცით ურიებს უფრო დიდი სიკეთე – აღთქმული სასუფეველი ღვთისა დაუკარგვინა.

ამიტომ გლოცავთ და გევედრებით, საყვარელნო, მივეგებოთ ბზის ტოტებით უფალს ჩვენსას, როგორც ჩვენს სულიერ მხსნელსა და მაცხოვარს; მივეგებოთ უფალს, როგორც მომნიჭებელს საუკუნო ცხოვრებისას, მართალთათვის რომ არის განმზადებული ზეცას და ვუგალობოთ საზეიმოდ: „ოსანა მაღალთა შინა, კურთხეულ არს მომავალი სახელითა უფლისათა“.

1984 წ. სვეტიცხოველი

ვარ მამის პროფესიული საქმის გამგრძელებელი და დღემდე ასე მოვდივარ

ყველა ადამიანი, მამაკაცი იქნება თუ ქალი, ყოველთვის ცდილობს უზადოდ გამოიყურებოდეს. ჩაცმულობასთან ერთად არანაკლებ მნიშვნელოვანია ადამიანის გარეგნული იერ-სახე, თმის ვარცხნილობა იქნება ეს თუ სხვა რამ. შეიძლება გარეგნულად არ იყო მომხიბვლელი, მაგრამ კარგმა და მოვლილმა ვარცხნილობამ მიიქციოს შენი ყურადღება. ქალბატონებმა, რომლებიც დღე და ღამ ჩართულნი არიან ოჯახურ საქმიანობაში, არ უნდა დაყარონ ფარხმალი და მეტი დრო უნდა დაუთმონ თავიანთი გარეგნობის წესრიგში მოყვანას, რათა არა მარტო მამაკაცების, არამედ ყველას თვალში ყოველთვის დარჩნენ მომხიბვლელნი; ასევე მოეთხოვებათ მამაკაცებსაც.

ყვარელში კარგად იცნობენ ამ საქმის ოსტატს, მამაკაცების სტილისტს **თამაზ მუსლოევს,** *რომელსაც ვთხოვეთ თავის საქმიანობაზე ესაუბრა.*

– თამაზ, წარმოშობით საიდან ხარ და რამდენი წელია რაც ყვარელში ცხოვრობ?

– ყვარელში დავიბადე და გავიზარდე, ჩემი წინაპრები ერევნიდან გადმოსახლდნენ ჯერ თელავში, შემდეგ კი ყვარელში დასახლდნენ. მე პირადად 60 წელზე მეტია რაც აქ ვცხოვრობ და ვსაქმიანობ. ვიყავით ერთი და და ორი ძმა. სამწუხაროდ 59 წლის ასაკის ძმა დავკარგე, რომელსაც დარჩა ორი ქალიშვილი. მისი ერთი ქალიშვილი ავსტრიაშია გათხოვილი, მეორე კი ყვარელში ცხოვრობს. დღემდე მათთან ურთიერთობა არ გაგვიწყვეტია.

– ნათქვამია „საქმემან შენმან გამოგაჩინოსო“ და შენი ხარისხიანი მუშაობით სჩანხარ კიდეც. – მთავარია იყო შენს საქმეში ჩახედული და გამოადგე შენს ქვეყანას, ამ საქმეზე მუშაობის რამდენ წელს ითვლი და რამდენად გამოგადგა ეს ცხოვრების მოწესრიგებაში. შენს წინაპარში რომელიმეს ხომ არ ხელეწიფებოდა ეს საქმიანობა?

– სწორი ბრძანდებით. ყველა თავის პროფესიაში უნდა იყოს მცოდნე, სხვანაირად ცხოვრებას ვერ ააწყობ. მთელი ჩემი სიცოცხლე ამ საქმიანობაში ვარ ჩართული და უკმაყოფილო არ ვარ, ამით ვცხოვრობ. მდიდრები არ ვართ მაგრამ ვტრიალებ საზოგადოებაში, მაქვს მშვიდი და წყნარი პატარა კუთხე, რომელშიც ვცხოვრობ ჩემს ოჯახთან ერთად. ვარ მამის პროფესიული საქმიანობის გამრგძელებელი და დღემდე ასე მოვდივარ.

– შენს პროფესიაზე ბევრად არის დამოკიდებული ადამიანის გარეგნობა და ვფიქრობ „კლიენტიც“ არ გაკლია, ყოველთვის ხალხმრავლობაა – დღეში რამდენი მოქალაქის გასტუმრებას ახერხებ?

– ძირითადად მამაკაცებს ვემსახურები. გულახდილად გეტყვით, ცოტა დამღლელიცაა ჩემი საქმიანობა. მამაკაცების ხიბლი და სილამაზე ხომ ჩემს ხელშია და ვცდილობ კლიენტი უკმაყოფილო არ დამრჩეს. დღეში ათი, თხუთმეტი კაცის გასტუმრებას ვახერხებ.

– როგორი კომფორტულია საპარიკმახერო კლიენტებისთვის, ალბათ, ხშირად არა, მაგრამ ხანდახან მაინც გაკითხავენ ჩამოსული სტუმრებიც. თუ არის შენს მუშაობაში ისეთი პრობლემები, რომლის გამოსწორებაც შეიძლება.

– მოგეხსენებათ, ყვარელი ტურისტული ქალაქი გახდა და ამ მხრივ სტუმარიც არ აკლია ყვარელს. ხშირად მაქვს ისეთი მომენტებიც, როცა ჩამოსულ სტუმარს ვმასპინძლობ. სტუმარს დახვედრაც სხვანაირი უნდა, რა თქმა უნდა, კომფორტის თვალსაზრისით. ასეც არის, ჩემი სამუშაო ოთახი სტილისტისთვის ყველა საჭირო იარაღით დაწყებული და თავისი ყველა ინვენტარით დამთავრებული, თანამედროვე სტანდარტებს აკმაყოფილებს და კლიენტიც ვფიქრობ კმაყოფილია. სამუშაო სალონში ყოველთვის სისუფთავეა და თამამად ვმასპინძლობ როგორც ადგილობრივ მცხოვრებთ, ისე ჩამოსულ სტუმრებსაც.

– შენი ბავშვობის საოცნებო პროფესია.

– ჩემი ბავშვობის საოცნებო პროფესია იყო მსახიობობა. ეს რომ არა, ალბათ კარგი მსახიობი ვიქნებოდი. ეს პროფესია იმიტომ მიტაცებდა, რომ მინდოდა ცნობადი სახე გავმხდარიყავი.

– რაკი მსახიობობა ახსენეთ, ცხოვრებაში როგორი მსახიობები მოგწონდათ?

– გამოვყოფდი იპოლიტე ხვიჩიას, აკაკი კვანტალიანს, ჟორჟოლიანს, მედეა ჩახავას და ხსვა. გულში ამჟამადაც ჩარჩენილი მაქვს და ყოველთვის ლამაზად ვიხსენებ ჩემი ბავშვობისდროინდელ მოგონებებს, – როცა ყვარლის სტადიონზე ჩამოსულ მსახიობთაგან ერთ-ერთს, ქალბატონ მედეას ქოლგა როგორ დარჩა სცენაზე და მთხოვა გავქცეულიყავ და მიმეტანა. როცა მივუტანე, მან თბილად ჩამიკრა გულში და მადლობა მომიხადა.

– როგორია თამაზი ოჯახში და ოჯახს გარეთ და საერთოდ რას გვეტყოდი შენი ოჯახის შესახებ.

– მიუხედავად იმისა, რომ მშობლები აღარ მიდგანან გვერდში, თამამად ვიტყვი, რომ მაქვს ბრწყინვალე ოჯახი. მეუღლე დიასახლისია. მყავს ორი ბიჭი, 36-ის და 25-ის, უფროსი კახეთის რეგიონში დიპლომატ ჯორჯიას მენეჯერია. ამ ყველაფერს მან თავისი კეთილსინდისიერი საქმიანობით და შრომით მიაღწია. მეორე ილიას ტბაზე როიალ ბატონის დაცვის სამსახურშია. ჯერჯერობით გვყავს ერთი შვილიშვილი. ალბათ გავმრავლდებით და ამ მხრივ უფრო მდიდარი ოჯახი ვიქნებით.

– როგორია „სტაჟიანი“ სტილისტის შეხედულება მამაკაცების გრძელი წვერის და თმის ვარცხნილობის თაობაზე?

– გულახდილად გეტყვით, არ მიმაჩნია მამაკაცების ასეთი გარეგნობა მიზანშეწონილად პირველ რიგში იმით, რომ არაჰიგიენურია. მეორე მხრივ არის პრინციპის ამბავი, – არ უნდათ, ან ეზარებათ თავის

მოვლა, ან მოდას არიან აყოლილნი, – ეს ჩემი პირადი შეხედულებაა.

– ბევრი ლაპარაკობს შენს ერთგულებაზე ადამიანებთან ურთიერთობაში და გაჭირვებულთა მიმართ გვერდში დგომაში. შენი სამუშაო ოთახი ერთგვარი „ცნობათა ბიუროცაა“, რადგან რაიონში მომხდარ ყველა ახალ ამბებს აქ შეიტყობ. მართლაც როგორც საქმიანი, ისე სახალისოცაა შენი პროფესია. ასეა?

– დღემდე ყოველთვის ვარ გაჭირვებულთა გვერდით. რა თქმა უნდა, ამას მე ჩემი პროფესიის ხარჯზე ვაკეთებ. სხვანაირად ალბათ ვერ შევძლებდი. სხვადასხვანაირი პროფესიის კლიენტი შემოდის და ამბებსაც ბევრნაირს ვიგებთ. ამ სამუშაო ადგილზე ყოველთვის ასეა.

– პარიკმახერის პროფესიის მოყვარულებზე რას გვეტყოდი, არის ინტერესი ახალგაზრდებში ამ საქმისადმი? რას ურჩევდით მათ?

– გამოგიტყდებით და გეტყვით, რომ ახალგაზრდებს მაინც და მაინც ეს პროფესია არ იტაცებთ. ყველას ვთხოვ ხოლმე, საფასურის გარეშე, დაეუფლონ ამ სპეციალობას, მაგრამ, როგორც ვამჩნევ, თითქოს ეთაკილებათ, ურჩევიათ ხელგამოწვდილებმა იარონ, მაგრამ მაინც არ უნდათ. ყველას უფალი გვფარავდეს, მაგრამ ჩვენი თაობა როდემდეღა შევყვებით, ჩვენი საქმე შემდგომში ხომ ვიღაცამ უნდა გააგრძელოს. ამიტომ მოვუწოდებ ახალგაზრდებს აირჩიონ ეს პროფესია, ფიზიკურად შრომას, (ვისაც მართლა არ შეუძლია), ხომ მაინც სჯობია. მე დღემდე ამით ვარჩენ ჩემს ოჯახს და უკმაყოფილო არ ვარ. სტილისტობა ხომ თანამედროვე პროფესიაცაა. კიდევ და კიდევ გირჩევთ დაეუფლოთ ამ საქმიანობას.

ესაუბრა
დალი ტატულიშვილი

ბედნიერი ვარ, რომ ახალგაზრდული წლები გავატარე ამ დიდი ადამიანების გვერდით

სწრაფად გაფრინდა ათეული წლები. ბევრ რამეს და ბევრ ვინმეს შეეხო „დროის მსახვრალი ხელი“. ბევრი რამ გადაფასდა განათლების სისტემაშიც, მაგრამ უცვლელი დარჩა პროფესიონალიზმი, საქმისადმი სიყვარული და ადამიანური ურთიერთობები.

მე ვწერ იმ პიროვნებებზე, რომელთაც საკმაო რაოდენობით გააჩნდათ ყოველივე ეს თვისება.

დავით ლაფაჩიშვილმა, რაფიელ შავგულიძემ და ზაალ იოსებაშვილმა სერიოზული კვალი დატოვეს რაიონის განათლების სისტემაში. შემიძლია თამამად ვთქვა, რომ დიდი როლი ითამაშეს პირადად ჩემი, როგორც ხელმძღვანელი მუშაკის ჩამოყალიბებაში.

ისინი ჩუმად, უხმაუროდ წავიდნენ ჩვენგან და დაგვიტოვეს ტკბილი და სევდიანი მოგონებები.

დავით ლაფაჩიშვილი პროფესიით ისტორიკოსი, გარკვეული წლები მუშაობდა გაზეთ „ყვარლის“ რედაქტორად, რაიონის განათლების განყოფილების გამგედ და ბოლოს კულტურის განყოფილების გამგედ. კარგი ხელმძღვანელი, კალამს ოსტატურად ხმარობდა, ადვილად ახერხებდა განსხვავებულ აზრში ადამინის დარწმუნებას. არწივისებური გამოხედვა ჰქონდა, გაგრძნობინებდა მოკრძალებასა და პატივისცემას. აფასებდა ადამიანის ნიჭიერებასა და შრომისმოყვარეობას. მოსიყვარულე გული ჰქონდა, თუმცა არ უყვარდა გრძნობების გამომჟღავნება.

ერთხელ მისი სამუშაო კაბინეტიდან ხმამაღალი ლაპარაკი ისმოდა. ვიღაცას უწყრებოდა. დამლაგებელს თამარა ბაღაღოშვილს საყვედურობდა იმის გამო, რომ „პახმელიაზე“ მყოფს ალუჩის ნაცვლად მკვახე პომიდორი მოუტანა. დამლაგებელი თავს იმართლებდა, მაგრამ ბატონი დავითის რისხვას ვერსად გაექცა. სამუშაო საათების დამთავრების შემდეგ კი მძღოლის ხელით თამარს ერთი ტომარა ფქვილი გაუგზავნა სახლში. იცოდა რომელ თანამშრომელს რა უჭირდა და რა ულხინდა.

ბატონ დავითს შვილების აღზრდაში გვერდში ედგა მცოდნე და სათნო მეუღლე მაყვალა ნიკოლოზიშვილი. პროფესიით ფილოლოგი პედაგოგიურ მოღვაწეობას ეწეოდა შილდის I საშუალო სკოლაში. გამოირჩეოდა ცოდნით, თავმდაბლობით და ადამიანებთან ურთიერთობით. სკოლაში მისულს თავად მთხოვდა დავსწრებოდი გაკვეთილებზე. დღესაც ყურში ჩამესმის მისი ნათქვამი: ახალგაზრდებს ახლებური ხედვა გაქვთ, თქვენს მიერ მოცემულ შენიშვნებს აუცილებლად გავითვალისწინებო. რომელ შენიშვნებზე იყო საუბარი, როცა იმ გაკვეთილებით თავად ჩვენ ვსწავლობდით ბევრს.

ბატონი დავითი და ქალბატონი მაყვალა დიდ ტკივილს დაატარებდნენ გულით, თუმცა ცდილობდნენ, სხვებისთვის არ ეგრძნობინებინათ იგი. 22 წლის თვალხატულა მანანას წასვლამ ამ ქვეყნიდან სამუდამო იარა დაუტოვა მათ. დრო ვერ აღმოჩნდა მკურნალი, მაგრამ ცხოვრება თავისას მოითხოვდა და ისინიც აგრძელებდნენ ფიქრთან და სევდასთან გამკლავებას.

რაფიელ შავგულიძე – შუა საუკუნეების რაინდი, რაიონის კოლორიტი თავისი საუბრითაც და ქცევითაც. ვაჟას პოეზიაზე უსაზღვროდ შეყვარებული, როცა ზეპირად ამბობდა, მის პოემებს, თავად ემსგავსებოდა პოემის მთავარ პერსონაჟებს. უყვარდა თქმა: მე რომ მკითხონ ყველაზე ლამაზი ქალი ვინ არის ამ-

ქვეყნადო, დაფიქრებაც არ დამჭირდებოდა ისე ვუპასუხებდი: დედაჩემი – მეთქი. ვფიქრობ, ნათქვამს კომენტარი არ სჭირდება.

ბატონ რაფიელთან ყველაზე დიდხანს მომიხდა მუშაობა როგორც გაზეთ „ყვარელში“, ასევე განათლების განყოფილებაში. იგი იყო გაზეთის საუკეთესო რედაქტორი. მის დამსახურებად ითვლება ის შეფასებები, რომელსაც გამოთქვამდნენ მაშინდელი გაზეთის მიმართ. შენიშვნის მიცემაც თავისებურად იცოდა: რბილად, ნახევრად იუმორით. ამიტომაც უფრო მეტად გვეკრძალებოდა მისი. ხშირად მოიშველიებდა ხოლმე აინშტაინის სიტყვებს: „ვისაც შეცდომა არ დაუშვია, მას ახალი არაფერი უკეთებია“. გამორჩევით უყვარდა ახალგაზრდები. პედაგოგებს ურჩევდათ ჩაეხედათ მათ სულში და მუშაობაში გაეთვალისწინებინათ ილიას სიტყვები: „სკოლაში სწავლება და აღზრდა ხელიხელ ჩაკიდებულნი უნდა ვიდოდესო“.

ბატონ რაფიელს გამორჩეული მეუღლე ედგა გვერდში. ეთერ შაოშვილი – რაიონული აფთიაქის გამგე. უსასრულოდ შეიძლება საუბარი მისი ქველმოქმედების შესახებ. იგი დიდთან დიდი იყო, პატარასთან – პატარა, უბრალოებით სავსე, უშუალო და გულწრფელი. ყველას ეხმარებოდა სიტყვითაც და საქმითაც. თავად შევესწარი ერთ ფაქტს. აფთიაქში მისულს ორი ქალბატონის საუბარი მომესმა. ერთი წუხდა იმის გამო, რომ ექიმმა ბევრი წამალი გამოუწერა და ფული საკმარისი არ ჰქონდა. მეორე ამშვიდებდა: მიდი გამგესთან, უთხარი შენი გასაჭირი, რაღაცას მოგიხერხებს, ის ხომ შაოაანთ ქალიაო. დიახ, ქალბატონი ეთერი ყველას ეიმედებოდა. მას კი ვერავინ უშველა. ნაადრევად დატოვა თავისი ლამაზი ქმარ-შვილი და სამუდამო სასუფეველში დაიმკვიდრა ადგილი. ალბათ ასე ინება არსთა გამრიგემ.

ზაალ იოსებაშვილი – დიდბუნებოვანი ადამიანი, უკეთილშობილესი, დიდი ცოდნისა და გამოცდილების მქონე. გარკვეული წლები მუშაობდა რაიონული პარტიის რაიკომის მეორე მდივნად, სოფლის მეურნეობაში საპასუხისმგებლო თანამდებობებზე, შემდეგ მუშაობა დაიწყო განათლების განყოფილების გამგედ და ჩვეული თავმდაბლობით განაცხადა: ახლა მე უნდა ვისწავლო თქვენგანო. არადა ჩვენ მისგან ვსწავლობდით საქმისადმი ერთგულებას, საკუთარი თავის მართვის უნარსა და სიკეთის თესვას უშურველად. ხშირად იცოდა ოტია იოსელიანის სიტყვების თქმა: „ ადამიანებს ერთმანეთის დანდობა და სიყვარული იმიტომ გვჭირდება, რომ ცხოვრებაა დაუნდობელი და კაცთმოძულე“. იმდენი რამ იცოდა განათლების სისტემის შესახებ, რომ გაოცებულნი ვრჩებოდით. გვირჩევდა ისე მოგვეხდინა ახალგაზრდა პედაგოგების გაკვეთილების განხილვა, რომ მათ გული არ ასცრუებოდათ საკუთარ პროფესიაზე.

იგი იყო ყველა თანამშრომლის ჭირისა და ლხინის გამზიარებელი და გვერდში მდგომი. ბატონი ზაალი ყველას გვეიმედებოდა, გვიყვარდა და პატივს ვცემდით მას.

რაც შეეხება ბატონი ზაალის მეუღლეს – ლილი ჩიტრეკაშვილს, მას ყველა დიდი ექიმით მოიხსენიებდა. იგი წამლებთან ერთად სიტყვითაც კურნავდა ავადმყოფს. ენერგიული, შრომისმოყვარე, არა მარტო კარგი ექიმი, არამედ საუკეთესო მასპინძელიც იყო.

გსიამოვნებდა მასთან ურთიერთობა. მედიცინის გარდა განათლების, სოფლის მეურნეობის საკითხებზე პროფესიონალივით მსჯელობდა. ბევრს კითხულობდა მედიცინის საკითხებზე, ეძებდა სიახლეებს, რაიონში თითქმის პირველმა ჩააბარა სასერთიფიკატო გამოცდები. სიხარულისა და გაჭირვების ჟამსაც მუდამ გაწონასწორებულად ეჭირა თავი. იყო ზომიერი და მაქსიმალურად ყურადღებიანი ყველა იმ წვრილმანის მიმართ, ავადმყოფის პრობლემებს რომ შეეხებოდა. ლილი ექიმის უდიდეს ავტორიტეტზე მიანიშნებს რაიონულ პოლიკლინიკაში მომხდარი ერთი შემთხვევა. ავადმყოფ ქალბატონს შესვლა უწევდა ახალგაზრდა დამწყებ ექიმთან – მარინა იოსებაშვილთან. შიშობდა, ახალგაზრდაა, რა ვიცი, როგორი ექიმიაო. ამ დროს გვერდში მდგომმა ქალბატონმა უთხრა: შედი, ნუ გეშინია, კარგად გიმკურნალებს, ლილი ექიმის შვილიაო.

ბედნიერი ვარ, რომ ახალგაზრდული წლები გავატარე ამ დიდი ადამიანების გვერდით. მათ პროფესიონალიზმთან ერთად შეძლეს საუკეთესო შვილების აღზრდა. ამ მხრივაც ისინი ახალგაზრდა თაობისათვის მისაბაძნი არიან.

რა გინდ ძლიერიც არ უნდა ყოფილიყო განათლების განყოფილების გამგე, რაიონული ეს სისტემა რესპუბლიკაში ცნობილი ვერ იქნებოდა, თუ სკოლები ღირსეული პედაგოგებით არ იქნებოდა დაკომპლექტებული. ასეთნი მრავლად ჰყავდა ყვარლის რაიონს. მომიტევონ მათმა სულებმა, თუ ამჯერად მხოლოდ ორ პედაგოგს გავიხსენებ. ისინი ჩემი სულიერი მეგობრები იყვნენ. ყვარლის მეორე საჯარო სკოლის პედაგოგები: ნანი შაიშმელაშვილი და ლია იაშვილი. გამორჩეულნი როგორც გარეგნობით, ისე სულიერი მშვენიერებით. ყვარლის ქუჩებს დღესაც ახსოვს მათი ღიმილი და მომხიბვლელი სიარული. მათთვის სწრაფად გავიდა დრო, რომელიც ალაგ წითელ, ალაგ ყვითელ, ალაგ კუპრის ფერი იყო. ისინი გამოირჩეოდნენ არამარტო ცოდნით, არამედ მოსწავლეებთან ურთიერთობითაც. ირგვლივ უხვად აფრქვევდნენ სიკეთესა და სიყვარულს, იმკიდნენ კიდეც შედეგს. ისინი მოსწავლეებს გამორჩევით უყვარდათ, ნანი და ლია მასწავლებელი მათთვის მისაბაძნი იყვნენ.

ჩემო ძვირფასო მეგობრებო, ძალიან მაკლიხართ, ხშირად ვფიქრობ თქვენზე, ამიტომ

როცა უნებურ შევიგრძნობ დაღლას,
როცა წუხილი სახსრებში დამშლის,
ფიქრებს დავტოვებ თვალების მიღმა
და თქვენს სურათთან მოვდივარ მაშინ.

მადლობთ, იმისათვის, რომ იყავით, გავუძლებ იმას, რომ აღარა ხართ. შემოგინახავთ მოგონებებში.

ვისურვებდი, რომ რაიონის განათლების სისტემას უმრავლოს ისეთი ხელმძღვანელი მუშაკები და პედაგოგები, როგორებიც თქვენ იყავით, თქვენ, რომლებსაც გაგაჩნდათ დროის შესაფერისი ცოდნა და უშურველად გადასცემდით მოსწავლე-ახალგაზრდობას.

მერე რა იქნება? ჩემი თაობაც მალე შემოგიერთდებათ, მაგრამ ეს არ უნდა გვაშინებდეს, რადგან ჩვენს უკან მოედინებიან თაობები თავიანთი სურვილებით, მარჯვენით, გონებით, გრძნობებით. ამქვეყნად ივლიან ჩვენი ღირსეული შვილები და შვილიშვილები, მთელი მათი მოდგმა.

აი, ეს არის ცხოვრება.

ზეინაბ ჭიჭიკოშვილი

მეცნიერები და ექიმები გვაფრთხილებენ, გვირჩევენ, გვთავაზობენ!

ენოთერაპია – ზომიერი რაოდენობის ღვინო ჯანმრთელობის შესანარჩუნებლად

ყურძენი და მისი პროდუქტები, ანტიკური დროიდან ტრადიციული მედიცინის ერთ-ერთ ფართოდ გავრცელებულ სამკურნალო საშუალებას წარმოადგენდა.

ყურძენთ, ან მისი წვენით მკურნალობას ამპელოთერაპია, ღვინით მკურნალობას კი, ენოთერაპია ეწოდება.

ენოთერაპიაზე ღვინის ეროვნული საგენტოს მთავარი სპეციალისტი, ტექნიკურ მეცნიერებათა დოქტორი, ბატონი თამაზ კობაიძე გვესაუბრება.

– საქართველოს მევენახეობა-მეღვინეობის 8000-წლიანი ისტორია აქვს, რაც უკვე მეცნიერულადაც დადასტურდა და, ბუნებრივია, ჩვენს ქვეყანაში საფუძველი უნდა ჰქონოდა ყურძნისა და ღვინის სამკურნალო თვისებების შესწავლას.

ღვინოს სამკურნალო დანიშნულებით ჯერ კიდევ ჩვენს წელთაღრიცხვამდე იყენებდნენ, რასაც არაერთი ისტორიული წყარო მოწმობს. ღვინის თერაპიის სარგებლობის შესახებ წარწერა შემონახულია ეგვიპტეში პლა-ხოტეპის (ძვ. წ. IV ათასწლეული) საფლავის ქვაზე, ასევე ქალაქ ნიპურის გათხრებისას, რომელიც ძვ. წ. III ათასწლეულით თარიღდება.

ჩვენი შორეული წინაპრის, მედიცინის მატრიარქის, მედეას სამკურნალო 40-მცენარიან ნუსხაში ვაზიც მოიხსენიება. ღვინოზე დამზადებული მრავალი ნამალია აღწერილი ქართულ სამკურნალო კარაბადინშიც (X-XI სს.).

– დღეს როგორია მიდგომა ღვინით მკურნალობის მიმართ?

– დღევანდელ ცივილიზებულ ქვეყნებში ენოთერაპია აღმავლობის გზაზეა. მსოფლიოში პირველი ენოთერაპიული ცენტრი საფრანგეთში, ბორდოს პროვინციაში, XX საუკუნეში გაიხსნა. აქ პაციენტებს მკურნალობენ ღვინის აბანოებით, ღვინისა და თაფლის სახვევებით, ღვინის ნიღბებით, დაფქვილი ნიპწებით.

ანალოგიური ცენტრები იხსნება სხვა ქვეყნებშიც, თუმცა ენოთერაპიას, როგორც უკვე მოგახსენეთ, დიდი ხნის ისტორია აქვს.

– რით არის განპირობებული ღვინის სამკურნალო თვისებები?

– ღვინო რთული შემადგენლობის პროდუქტია, რომელიც უამრავ სამკურნალო თვისებების მქონე კომპონენტს შეიცავს. ის ორგანიზმს ამარაგებს მაკრო და მიკროელემენტებით, ვიტამინებით, ამინომჟავებით. მდიდარია მთრომლავი, საღებავი, პექტინოვანი, ფენოლური ნივთიერებებით, ჯამში, 800-ზე მეტი კომპონენტით.

ორგანიზმში მოხვედრისას, ღვინის შემადგენელი კომპონენტები ცალკეულად თუ კომპლექსურად განაპირობებენ: კარდიო და რადიოპროტექტორულ, ბაქტერიოციდულ, ანტიოქსიდანტურ, ანტივირუსულ, ანტისტრესულ, ანტისიმსივნურ და სხვა მოქმედებებს.

ღვინო ამაღლებს ორგანიზმის იმუნიტეტსა და ტონუსს, ეხმარება საჭმლის შეთვისება-მონელებაში, გამოაქვს ტოქსინები, ხელს უწყობს შარდში შაქრის კონცენტრაციის შემცირებას, რის გამოც, კეთილისმყოფელ გავლენას ახდენს დიაბეტით დაავადებულებზე.

ღვინის რეგულარულად და სათანადო დოზით მიღება აფერხებს ათეროსკლეროზული პროცესების განვითარებას, ქოლესტერინსა და ლიპოპროტეინებს აბალანსებს ფიზიოლოგიურ ნორმაზე.

– ღვინის შემადგენელი რომელი კომპონენტები განაპირობებენ მის ანტივირუსულ თვისებებს?

– ღვინო საკმაოდ ფართო სპექტრის ბაქტერიციდული სითხეა. მისი მოქმედების არეალი ერთდროულად მოიცავს გრამუარყოფით და გრამდადებით ბაქტერიებს.

მის ანტიბაქტერიულ მოქმედებას პოლიფენოლები განაპირობებენ. 2-3-ჯერ განზავებული ღვინოც კი თრგუნავს და ერთ საათში მთლიანად ანადგურებს შავი ჭირის, ტიფისა და დიზენტერიის გამომწვევ ბაცილებს.

რაც შეეხება ანტივირუსულობას, ღვინის ამ მოქმედებას ტანინი განაპირობებს. ის ახდენს პროტეინული ბადის ბლოკირებას და ვირუსებს უჯრედებამდე აღარ ატარებს. ამიტომაცაა, რომ წითელი ღვინო, თუნდაც განზავებული, სპობს: პოლიმიელიტის, კოკსაკისა და ჰერპეს ვირუსებს. უკვე მეცნიერულად არის დამტკიცებული, რომ ღვინო, გარკვეულწილად, გრიპის პროფილაქტიკასაც უზრუნველყოფს.

ჭამის პროცესში თეთრი ღვინის 100-150 მლ-ის მიღებით საგრძნობლად უმჯობესდება საკვები პროდუქტებიდან რკინის შეთვისება და ამავდროულად ხელი ეწყობა ორგანიზმიდან მავნე პროდუქტებისა და ტოქსინების გამოდევნას.

ღვინის ზომიერად დალევა საჭმლის შეთვისება-გადამუშავების დადებით ფაქტორთან ერთად ხელს უშლის ორგანიზმში ჰისტამინის გამომუშავებას, რაც ამცირებს კუჭის წვენის მჟავიანობას და იცავს კუჭსა და თორმეტგოჯა ნაწლავს წყლულოვანი პათოლოგიის განვითარებისგან. გარდა ამისა, ღვინო აჩქარებს ცხიმების მონელებას.

დადგენილია, რომ ყოველი ჭამის დროს 150-200 მლ ღვინის მიღება ზრდის ინსულინისადმი მგრძნობელობას.

– ღვინო გაჯერებულია ანტიოქსიდანტებით, რა შეგიძლიათ გვითხრათ ამის შესახებ?

– ყველა ანტიოქსიდანტის მთავარი ამოცანაა თავისუფალი რადიკალების შებოჭვა. მავნე რადიკალები მომაკვდინებლად მოქმედებენ უჯრედებზე და მთელ რიგ პათოლოგიებს აძლევენ დასაბამს.

ორგანიზმის ნაადრევად დაბერება სწორედ მავნე თავისუფალ რადიკალებს უკავშირდება.

პროფესორ მასკელეს გამოკვლევებით, წითელი ღვინის პოლიფენოლები 50-ჯერ უფრო მძლავრი ანტირადიკალური (ანტიოქსიდანტური) მოქმედებით გამოირჩევა, ვიდრე ვიტამინი, რომელიც ანტიოქსიდანტური მოქმედების ეტალონად არის მიჩნეული.

რამდენადაც სუფრის წითელი და თეთრი კახური ღვინოები ფენოლების მაღალშემცველნი (2,5-4,0 გ/ლ) არიან, ჭამის დროს მათი 100-150 მლ-ის ყოველდღიურად მიღება შეიძლება ჩავთვალოთ გულ-სისხლძარღვთა დაავადებებისა და ნაადრევად დაბერებისაგან დაზღვევის გარანტად.

ღვინის ანტიოქსიდანტობა მნიშვნელოვანია რადიაციის დროს წარმოქმნილი თავისუფალი რადიკალების შემცირების თვალსაზრისითაც. ამით გამოიხატება ღვინის რადიოპროტექტორული მოქმედება.

1-2 ჭიქა ღვინო ეხმარება სისხლის ცირკულაციას, ხოლო მისი ზოგიერთი მქროლავი კომპონენტი (ალდეჰიდი) ისევე მოქმედებს, როგორც სისხლის წნევის დამწევი საშუალება.

დამტკიცებულია, რომ წითელი ღვინის პოლიფენოლები ამცირებენ სისხლში თრომბწარმოქმნის ალბათობას ფიბრინოგენის შემცირებისა და ფიბრინოლიზის აქტივობის გაზრდის ხარჯზე.

გასული საუკუნის ბოლოს 7 მლნ კაცზე ჩატარებული დაკვირვების სტატისტიკური მონაცემების ანალიზით გამოვლინდა, რომ საფრანგეთში, აშშ-ის მოსახლეობასთან შედარებით, გულის შეტევებისგან სიკვდილიანობა 36-56%-ით ნაკლებია. ამ სენსაციური შედეგების მიზეზად, ფრანგების მიერ წითელი ღვინის ყოველდღიურად მოხმარება დასახელდა.

გაზეთი „ჩვენი სოფელი“
„აგროკავკასია“

გულისთვის სასარგებლო ხილის ტოპ-ათეული

შპარე

რომელი ხილი არის სასარგებლო გულისთვის და როგორ ხშირად უნდა მივირთვათ ეს ხილი? როგორც ჩანს ამ ორ შეკითხვაზე არც ისე მარტივია პასუხის გაცემა. სიმართლე ისაა, რომ ბევრი ხილი მდიდარია ვიტამინებით C, E და B, ასევე კალციუმით და კალიუმით, რომლებიც ეხმარებიან ორგანიზმს შეამცირონ გულის შეტევის რისკი და სისხლძარღვთა დაავადებები. ზოგიერთი ხილი ყველასთვის ხელმისაწვდომია, ზოგს შეიძლება ეწოდოს ეგზოტიკური. კარგი ისაა, რომ ყველაზე მეტად ხილი, რომელიც სასარგებლოა გულისთვის ადვილად შესაძენია თითქმის ნებისმიერ სასურსათო მაღაზიაში. ალბათ ზოგიერთი ხილი თქვენს მაცივარშიც არის ახლა.

1. ავოკადო
2. ვაშლი
3. გარგარი
4. ბანანი
5. კენკრა
6. ფორთოხალი
7. გრეიფრუტი
8. კივი
9. პაპაია
10. ატამი

ხილში არსებული მიკროელემენტები, რომლებიც სასარგებლოა გულისთვის:

მეცნიერებმა არაერთხელ დაადასტურეს, რომ ბოსტნეული და ხილი სასარგებლოა გულისა და გულსისხლძარღვთა სისტემისთვის. ხილი, როგორიცაა ვაშლი, გარგარი, ფორთოხალი, ავოკადო, ბანანი, ატამი, კივი და ბევრი კენკრა მდიდარია ბოჭკოებით. ბანანი, ვაშლი, გრეიფრუტი, კივი, პაპაია და ატამი მდიდარია ვიტამინი C. კენკრა, ბანანი, კივი და პაპაია შეიცავს მაგნიუმს. კალიუმის მაღალ შემცველობას მოიცავს ავოკადო, გრეიფრუტი, ბანანი, კენკრა, ფორთოხალი, პაპაია და ატამი. ვიტამინ შეიცავს გარგარი, კივი, პაპაია და ატამი. გარდა ამისა, სხვადასხვა ხილი შეიცავს ფოლიუმის მჟავას, ფლავონოიდებს, კაროტენოიდებს, კალციუმს, ფოლატებს და ვიტამინ K და B6. ეს არის ნაკრები ყველა იმ ელემენტებისა, რომელიც სასარგებლოა გულისთვის.

გულისათვის სასარგებლო ხილის გამოყენება:

ხილი სასარგებლოა გულისთვის პირველ რიგში იმიტომ, რომ შეიცავს ვიტამინებს და სხვადასხვა მინერალებს. საიდუმლო არ არის, რომ ხილი მდიდარია ბოჭკოებით, ფოლიუმის მჟავით და კალიუმით, რითაც შესაძლებელია გულსისხლძარღვთა დაავადებების თავიდან აცილება. ფოტოქიმიურ ნივთიერებებს შეიცავს ვაშლი, რომელსაც აქვს ანტიანთებითი თვისებები. აგრეთვე ეს ნივთიერება ხელს უშლის ტრომბის წარმოქმნას.

ხილი და არტერიული წნევა

გულისთვის ყველაზე სასარგებლოა ხილი, რომელიც შეიცავს არამარტო ვიტამინებს და ცხიმჟავებს, კალიუმს, კალციუმს და მაგნიუმს, ხელს უწყობს არტერიული წნევის დაწევას ორგანიზმში. აგრეთვე ვიტამინები გულს ეხმარება შრომისუნარიანობის ნორმალიზებაში. რაც შეეხება ფლავონოიდებს, იგი ამცირებს თრომბოციტების წარმოქმნას არტერიებში და სისხლძარღვებში. ფლავონოიდებით მდიდარი ხილი კარგია გულისთვის, რომელიც ამცირებს ქოლესტერინის დონეს სისხლში.

ახალი ხილი თქვენი გულისთვის

გულისთვის სასარგებლო ხილი შეიძლება მიიღონ ადამიანებმა, ვისაც არასდროს არ ჰქონია გულსისხლძარღვთა პრობლემები. რომ შევამციროთ გულსისხრძარღვთა დაავადებების რისკი ორგანიზმში, საკმარისია მივიღოთ რამდენიმე ვაშლი, გარგარი, ან ბანანი ყოველდღიურად. ძალიან კარგია ხილის მიღება განსაკუთრებით ზაფხულში, როდესაც ისინი მხოლოდ იწყებენ დამწიფებას. სასარგებლოა გულისთვის ხილის წვენებიც, რომელიც შეიძლება მივიღოთ ყოველდღე.

ბავშვებს, რომლებიც კვირაში ერთხელ მაინც მიირთმევენ თევზს, სრულფასოვანი ძილი და მაღალი IQ აქვთ

ბავშვებს, რომლებიც კვირაში ერთხელ მაინც მიირთმევენ თევზს, ინტელექტის მაღალი კოეფიციენტი და სრულფასოვანი ძილი აქვთ. ასეთია პენსილვანიის უნივერსიტეტის მეცნიერთა კვლევების შედეგი.

ადრე მეცნიერები უკვე ხედავდნენ კავშირს ომეგა-3-სა და უჯერ ცხიმოვან მჟავებს შორის, რომლებსაც თევზის ბევრი სახეობა შეიცავს. თუმცა, ხელახლმა კვლევებმა აჩვენა, რომ სწორედ ძილი არის ის მნიშვნელოვანი რგოლი, რაც თევზსა და ინტელექტს აერთიანებს.

მეცნიერებმა გამოიკვლიეს იმ ცხიმოვანი მჟავების ზემოქმედება, რაც თევზშია წარმოდგენილი და არა იმ ცხიმებისა, რომლებიც კვებით დანამატებსა და ვიტამინებში იყო. კვლევის ავტორებმა გამოკითხეს 9-11 წლამდე ასაკის 541 ჩინელი ბავშვი (54% ბიჭები და 46% გოგონები). ხშირად იყენებდნენ თუ არა რაციონში თევზის პროდუქტებს. პასუხები მერყეობდა „არასოდეს“ და „კვირაში ერთხელ“-ს შორის. შემდეგ მათ ჩაუტარეს ტესტირება ვაქსლერის ტესტით, რომელიც ითვალისწინებდა სალაპარაკო და არასალაპარაკო უნარებს, სალაპარაკო მარაგსა და კოდირებას. ამის შემდეგ, მონაწილეების მშობლები გამოკითხეს, თუ რა ხანგრძლივობისა და ხარისხის ძილი ჰქონდათ მათ შვილებს. მეცნიერებმა გაითვალისწინეს ოჯახების დემოგრაფიული მდგომარეობა, მშობლების განათლება, მათი საქმიანობა და ოჯახში ბავშვების რაოდენობა.

მიღებული ინფორმაციის გაანალიზების შემდგომ აღმოაჩინეს, რომ ბავშვებს, რომელთა კვების რაციონში კვირაში ერთხელ შედიოდა თევზი, ინტელექტის დონე 4,8 ქულით მაღალი ჰქონდათ, ვიდრე მათ, ვინც იშვიათად ან საერთოდ არ იღებდა ამ პროდუქტს. ასეთივე შედეგი იყო ძილის ხარისხსა და ხანგრძლივობასთან დაკავშირებით. როგორც ცნობილია, მკვეთრი სუნის გამო თევზი ბევრ ბავშვს არ უყვარს, მათ შორის უფროსებსაც. მეცნიერები ამბობენ, რომ თუ ბავშვის რაციონში ადრეული ასაკიდანვე შევიტანთ თევზს, უფრო ადვილად მიეჩვევა და შეუყვარდება მისი განსხვავებული გემო და სუნი.

როგორ ავიმაღლოთ იმუნიტეტი

იმუნიტეტი ყველაზე ძვირფასი საჩუქარია, რომლითაც ბუნებამ დაგვაჯილდოვა. მისი საშუალებით ორგანიზმი შეიცნობს, გამოყოფს და ანადგურებს მასში შეღწეულ უცხო ნივთიერებებსა და მიკროორგანიზმებს (ვირუსებს, სოკოებს, მიკრობებს), რითაც მრავალი სენისგან გვიცავს. იმუნიტეტი ორგვარია: არასპეციფიკური და სპეციფიკური. პირველი დაბადებიდანვე დაგვყვება, მეორეს კი სიცოცხლის განმავლობაში ვიძენთ. არსებობს პასიური იმუნიტეტიც, რომელსაც ჩვილ ასაკში ვიღებთ დედისგან – დედის რძე მრავალი მიკრობისგან დამცავ ანტისხეულებს შეიცავს. ორგანიზმის დამცავი ძალები განსაკუთრებით ზამთარში სუსტდება, ამიტომ საჭიროა, ისეთი საკვები შევარჩიოთ, რომელიც მათ გაძლიერებაში დაგვეხმარება. ასეთია:

ხორცი – ცილოვანი საკვების დეფიციტი მყისიერად აისახება იმუნიტეტის მდგომარეობაზე. იმუნოგლობულინები, რომლებიც ორგანიზმის სენშეუვალობას უზრუნველყოფს, სწორედ ცილოვანი ნივთიერებები გახლავთ, ამიტომ მათი სინთეზისთვის ცილოვანი საკვები აუცილებელია. გარდა ამისა, უცხიმო ხორცი შეიცავს თუთიას, რომელიც ხელს უწყობს სისხლის თეთრი სხეულების გამომუშავებას, ეს უკანასკნელნი კი ჯანმრთელ უჯრედებს ვირუსებისა და მიკრობებისგან იცავენ.

ვეგეტარიანელებისთვის თუთიის წყაროდ შეიძლება იქცეს ბურღულეული, იოგურტები, რძე, სოკო, ლოკოკინა.

რძემჟავა პროდუქტები – ცოცხალი ბაქტერიები აფერხებენ მავნე ბაქტერიების ზრდა-გამრავლებას. გარდა კეფირისა და იოგურტისა, პრობიოტიკური პროდუქტების რიცხვს მიეკუთვნება ბუნებრივი ანტიბიოტიკები, მწვანე ხახვი და ნიორი, ბანანი.

ყვითელი ხილი და ბოსტნეული – ციტრუსები, გარგარი, სტაფილო და სხვა. მათში ბევრია ბეტა-კაროტინი – ანტიოქსიდანტი, ვიტამინის წინამორბედი, რომელსაც იმუნური თვისებები აქვს.

მწვანე ჩაი – ისიც მდიდარია ანტიოქსიდანტებით.

ძალიან კარგია ფლავონოიდებით მდიდარი საკვებიც. ფლავონოიდები ნივთიერებებია, რომლებიც ორგანიზმის დამცავ ძალებს მოდულების საშუალებას არ აძლევენ. მათ მიაკუთვნებენ კვერცეტინს (შეიცავს მწვანე ხახვი და ვაშლი), ლიკოპენს (ის უხვად არის პომიდორში) და ელაჰოფის მჟავას (მას კაკალი შეიცავს).

სეზონური კვების აღმოსავლური სისტემა სამი ათასი წლის წინათ წარმოიშვა. ამ სისტემის თანახმად, წელიწადის ცივ დროს სასარგებლოა ქონი, ბეკონი, მკერდის ხორცი, თირკმელები, ბოსტნეული, მარცვლეული (ლობიო, ცერცვი), წიწიბურა, კარტოფილი. დამატებით საზამთრო პროდუქტებად მიიჩნევა ცხარე სანელებლები (აჯიკა, წიწაკა, ნიორი), ასე რომ, ზამთარი საუკეთესო დროა რომელიმე ეგზოტიკური, მაგალითად, მექსიკური სამზარეულოს ასათვისებლად. ძველი რეცეპტი: დილაობით მიიღეთ ცოტაოდენი შავი წიწაკა 1 სუფრის კოვზ თაფლთან ერთად და ვერავითარი სიცივე და მიკრობი ვერ შეგაშინებთ! მჟავე საკვები ნეიტრალურად ითვლება, ტკბილეული კი მავნებელია, ამიტომ ნამცხვრებისა თუ კანფეტებისგან უმჯობესია თავი შევიკავოთ. ჩვენი განწყობა და გარეგნული იერი იმაზეა დამოკიდებული, რას მივირთმევთ. დილაობით შვრიის ფაფა არა მარტო კუჭისთვის, არამედ კანისთვისაც სასარგებლოა. შვრიის ბურღულში არის ვიტამინები და ამინომჟავები, რომლებიც პასუხს აგებენ კანისა და თმის სილამაზეზე. განწყობას კი სეროტონინი აგვიმაღლებს. გაზაფხულზე და



გაგრძელება მე-8 გვ. -ზე

ყვარლის მუნიციპალიტეტი პრივატიზების მიზნით აცხადებს აუქციონს მუნიციპალიტეტის საკუთრებაში არსებულ შემდეგ ქონებაზე



3/27/2018 kancelaria.cloud.gov.ge//nomfileserver/GetFile?file_id=2076661835703451351 2&obj_name=A&SessValue=V5NuLUwLYoeU7ARvze

ყვარლის მუნიციპალიტეტის მერის

ბ რ ძ ა ნ ე ბ ა

KA990121078415318

№ 322 26 / მარტი / 2018 წ.

ყვარლის მუნიციპალიტეტის საკუთრებაში არსებული ქონების პრივატიზების მიზნით საჯარო აუქციონის გამოცხადების შესახებ

,მუნიციპალიტეტის ქონების პრივატიზების, სარგებლობისა და მართვის უფლებით გადაცემის, საწყისი საპრივატიზებო საფასურის, ქირის საფასურის, ქირის საწყისი საფასურის განსაზღვრის და ანგარიშსწორების წესების დამტკიცების შესახებ“ საქართველოს მთავრობის 2014 წლის 8 დეკემბრის №669 დადგენილების; საქართველოს ორგანული კანონის ,,ადგილობრივი თვითმართველობის კოდექსი“-ს 54-ე მუხლის პირველი პუნქტის "ე.ე" ქვეპუნქტისა და 61-ე მუხლის მესამე პუნქტის "ა" ქვეპუნქტის თანახმად

ვბრძანებ:

1. გამოცხადდეს უპირობო საჯარო აუქციონი მუნიციპალიტეტის ქონების პრივატიზების მიზნით და დამტკიცდეს აღნიშნული ქონების აუქციონის ფორმით პრივატიზების გამოსაქვეყნებელი ინფორმაცია (დანართი №1).

2. დაევალოს ყვარლის მუნიციპალიტეტის საპრივატიზაციო და სააუქციონო კომისიის თავმჯდომარეს გივი ზაუტაშვილს აუქციონის შესახებ ინფორმაციის კანონმდებლობით გათვალისწინებულ საინფორმაციო საშუალებებში გამოქვეყნება.

3. აუქციონის ჩატარება უზრუნველყოს ყვარლის მუნიციპალიტეტის მერის 2018 წლის 7 თებერვლის №107 ბრძანებით შექმნილმა ყვარლის მუნიციპალიტეტის ,,საპრივატიზაციო და სააუქციონო“ კომისიამ.

4. ბრძანება ძალაშია ხელმოწერისთანავე.

5. ბრძანების გასაჩივრება შესაძლებელია გურჯაანის რაიონულ სასამართლოში ერთი თვის ვადაში (მის: ქ. გურჯაანი, სანაპირო №24).

ყვარლის მუნიციპალიტეტის მერი როსტომ სესიაშვილი

ლოტის №	ქონების დასახელება	გამოშვების წელი	სახელმწიფო ნომერი	საწყისი ფასი (ლარი)	„ბე“ (ლარი)	ბიჯი (ლარი)	მონაწილის ბილეთი (ლარი)
1.	ავტომანქანა ნისან QASHQAI	2008	KVA 003	8500	1700	425	50
2.	ავტომანქანა მერსედეს-ბენცი E230	1997	EMS 335	3000	600	150	50

მაქსიმალური ფასის შემოთავაზება, რომელიც უნდა აღემატებოდეს გამოცხადებულ საწყის ფასს ბიჯის გათვალისწინებით.

2. სააუქციონო პირობები:

1. მუნიციპალიტეტის ქონების პრივატიზებისას ქონების შემძენი შეიძლება იყოს საქართველოს ფიზიკური პირი ან კერძო სამართლის იურიდიული პირი ან ასეთ პირთა გაერთიანება, რომლის ქონებაშიც მუნიციპალიტეტის ან საქართველოს სახელმწიფო ხელისუფლების ორგანოს მონაწილეობის წილი 25%-ზე ნაკლებია.

2. აუქციონში მონაწილეობის მიღების მსურველი (შემდგომში მონაწილე) აუქციონის რეგისტრატორს წარუდგენს:

ა) განაცხადს, რომელიც შეიცავს ინფორმაციას მონაწილეზე, ყვარლის მუნიციპალიტეტის ქონების დასახელებას, ყვარლის მუნიციპალიტეტის იმ ქონების საწყის ფასს, რომლის შეძენაც სურს მონაწილეს;

ბ) „ბე“-ს გადახდის დამადასტურებელ დოკუმენტს; „ბე“-ს გადახდა უნდა მოხდეს ყვარლის მუნიციპალიტეტის შემდეგ საბანკო ანგარიშზე: სახელმწიფო ხაზინა, ხაზინის ერთიანი ანგარიში, სახაზინო კოდი: 300568800 (პრივატიზებისათვის);

გ) აუქციონში მონაწილის ბილეთის ფასი 50 ლარი, საბანკო რეკვიზიტები: სახელმწიფო ხაზინის ერთიანი ანგარიში: 200122900; მიმღები ბანკი: სახელმწიფო ხაზინა, კოდი: 220101222; სახაზინო კოდი: 300563332.

დ) პასპორტის ან პირადობის დამადასტურებელი მოწმობის ასლს (ფიზიკური პირის შემთხვევაში);

ე) ნოტარიალურად დამოწმებულ მინდობილობას, თუ მონაწილე მოქმედებს სხვა პირის სახელით;

ვ) განაცხადის შეტანის მომენტისთვის მოქმედ ამონაწერს სამეწარმეო რეესტრიდან (იურიდიული პირის შემთხვევაში).

3. მონაწილეს უფლება აქვს „ბე“-ს დაუკავებლად აუქციონში მონაწილეობაზე უარი განაცხადოს, მხოლოდ განაცხადის მიღების პერიოდში.

4. აუქციონის დამთავრების შემდეგ დგება ოქმი, რომელიც წარმოადგენს წერილობით ხელშეკრულებას, ოქმს ხელს აწერს მყიდველი და ყვარლის მუნიციპალიტეტის საკუთრებაში არსებული ქონების განკარგვის აუქციონის ორგანიზების მუდმივმოქმედი სააუქციონო კომისიის თავმჯდომარე, როგორც გამყიდველის უფლებამოსილი წარმომადგენელი.

5. თუ აუქციონში გამარჯვებული პირი უარს განაცხადებს აუქციონის შედეგების ოქმის ხელმოწერაზე, მას ჩამოერთმევა აუქციონში გამარჯვებულის სტატუსი და შეტანილი „ბე“ არ დაუბრუნდება.

6. აუქციონში გამარჯვებულის გამოვლების კრიტერიუმია საწყის გასაყიდ ფასსზე ბიჯის დანამატის შედეგად მაქსიმალური ფასის გადახდა და აუქციონის პირობების დაკმაყოფილება;

7. აუქციონში გამარჯვებული ვალდებულია ხელშეკრულების გაფორმებიდან 15 კალენდარული დღის ვადაში მითითებულ საბანკო ანგარიშზე გადაიხადოს ყვარლის მუნიციპალიტეტის საკუთრებაში არსებული ქონების საპრივატიზებო საფასური, რომელიც შეესატყვისება მის მიერ აუქციონზე დასახელებულ საბოლოო ფასს.

8. გარიგებათა გაფორმების წესი და მყიდველის პასუხისმგებლობა განისაზღვრება საქართველოს მთავრობის 2014 წლის 8 დეკემბრის №669 დადგენილების შესაბამისად.

9. აუქციონი ტარდება 2018 წლის 27 აპრილს 15 საათზე. აუქციონში მონაწილეობაზე განაცხადების მიღება მიმდინარეობს 2018 წლის 29 მარტიდან 27 აპრილის ჩათვლით 12 საათამდე, სამუშაო დღეებში. მისამართი: ქ. ყვარელი, კუდიგორის ქ. №1

10. დამატებითი ინფორმაცია საპრივატიზებო ობიექტების და აუქციონი ჩატარების შესახებ შეგიძლიათ მიიღოთ ქ. ყვარელი, კუდიგორის ქ. №1-ში მდებარე ყვარლის მუნიციპალიტეტის გამგეობის შენობის მე-2 სართულზე; ტელეფონი № 599 855 993 ; №595 903 322; ყვარლის მუნიციპალიტეტი.

ჭიაკოკონობა – რა ვიცით ამ „წარმოდგენის“ შესახებ?

ე.წ. ჭიაკოკონობას ადამიანები დიდმარხვის ბოლო კვირაში, ვნების ოთხშაბათს აღნიშნავენ. როგორ აღნიშნავდნენ ამ დღეს საქართველოს კუთხეებში? გვესაუბრება ნინო ღამბაშიძე (ივ. ჯავახიშვილის ისტორიისა და ეთნოლოგიის ინსტიტუტი):

ვნების კვირის ოთხშაბათს ფშავში კუდიან დღე-ღამენის, ხევსურეთში კუდიან წუხრას, ქართლში კუდიანობა ღამეს და სხვას უწოდებდნენ.ძირითადად კი ეს დღე ჭიაკოკონობის სახელით იყო ცნობილი. ვნების ოთხშაბათის ღამეს, სამეგრელოს გარდა მთელ საქართველოში, ქალაქებსა თუ სოფლებში ჭიაკოკონებს ანუ კოცონებს ანთებდნენ. სოფელსა თუ ქალაქში ყველა საკუთარი სახლის წინ კოცონს ანთებდა და დიდი თუ პატარა ცეცხლზე ჯვარედინად მანამ ხტებოდა, სანამ ეს კოცონი არ დაიფერფლებოდა. გადახტომისას უნდა დაეძახათ: „არურუ კუდიანებს (ან: არული, აჰარი, ალული)! ჯვარი აქაურობას!“ ჭიაკოკონას ანთება და მასზე გადახტომა ძირითადად იმის საწინდარი იყო, რომ კუდიანები ვერავის ავნებდნენ და დილაც მშვიდობიანად გათენდებოდა. კუდიანების, ავი სულების დასაფრთხობად და განსადევნად ისროდნენ თოფებს. ხალხის წარმოდგენით კუდიანები ამ ან მომდევნო ღამეს გარკვეულ ადგილას (იალბუზის მთა, აჩხოტის მინდორი, მდ. იორი, ტაბაკონის მთა) იკრიბებოდნენ და ზეიმს მართავდნენ.

სვანეთში ბზობის საღამოდან ლიროკინალი ანუ განდევნა იწყებოდა (იხ. ბზობა). ზოგან ვნების კვირას ჰორიალე ნეგზის ანუ კუდიანების კვირას უწოდებდნენ. სვანეთში დიდ ოთხშაბათს ოჯახის ერთ-ერთი წევრი ქალი იღებდა ქონის ნაჭერს და ოჯახის ყველა წევრს უსვამდა შუბლზე, კისერზე, მკერდზე და ხელის გულებზე, თან ამბობდა: „ღმერთმა მრავალ ბრწყინვალე აღდგომას დაგასწროთ“.

რაჭაში დიდ ოთხშაბათს მხოლოდ სადილობამდე შეიძლებოდა მუშაობა; უფრო ვენახში. ნასადილევს აღარ იმუშავებდნენ.

იმერეთში მიაჩნდათ, რომ კუდიანებმა ყველაფერს შეიძლება ავნონ, მათ შორის ვენახსაც. ვაზის დასაცავად იმერეთის მოსახლეობა ვენახშიც ანთებდა კოცონს და იქვე ისროდა თოფს.

საქართველოს ზოგიერთ კუთხეში ახალ ტანსაცმელს კრავდნენ, ბოხჩაში ახვევდნენ, ტახტზე დებდნენ და ასკილის ტოტებს ადებდნენ, რის შემდეგაც ხალხის რწმენით ტანსაცმელს კუდიანი ვეღარ მიეკარებოდა და ვერ დაჭრიდა. ვინმეს სახლის წინ კაკლის ან ატმის ხე თუ ედგა, ზედ საცერს ჰკიდებდნენ. ხალხის წარმოდგენით კუდიანები კაკლის და ატმის ხეს ეფარებიან, ხოლო თუ მათზე საცერი იქნებოდა დაკიდებული, ისინი ხილული გახდებოდნენ.

მესხეთ-ჯავახეთში ჭიაკოკონობა წითელ პარასკევს იცოდნენ.

ქართლში კუდიანობა ღამეს ასკილის, ტყემლის ტოტებს მოჭრიდნენ, წვრილად ჭრიდნენ, ტაბაკზე ყრიდნენ, ზედ ნახშირს აყრიდნენ და ყანაში მიჰქონდათ. ასკილის ტოტებს მიწაში არჭობდნენ და ძირს ნახშირს ყრიდნენ. ასკილს და ტყემლის ტოტებს (რომლებზეც ხალხი ამბობდა კუდიანების მტერიაო), ბოსტანშიც არჭობდნენ – ავი საქმე, ავი თვალი, ავი ყბა აღარ მოგვიდგებაო, – ამბობდა ხალხი. ამ ყველაფერს დამახვილებას უწოდებდნენ. თუ ქათამი კვერცხზე იჯდა, ასკილის ტოტებს საქათმის კარსაც უკეთებდნენ, კუდიანების დასაფრთხობად კარზე ჯვარედინად ამაგრებდნენ, გარეთა მხრიდან კი მუგუზლებს დებდნენ. ასკილის ტოტებს ფქვილზედაც დებდნენ. მელოგინეს (მომშობიარების შემდეგ ლოგინში მწოლიარე ქალი) ლოგინთან ტყემლის დიდ ჯოხს მიუყუდებდნენ, ბავშვის აკვანს კი ცეცხლს გადაატარებდნენ.

ლიახვის ხეობაში, ჭიაკოკონობის წესს ჭიების საწინააღმდეგოდ ასრულებდნენ. მოსახლეობა ჩალა-კაჭაჭს ცეცხლს წაუკიდებდა, ზედ გადაახტებოდა და დაიძახებდა: „არული კუდიანებს!“ ჩამქრალი ცეცხლის ნაცარს მოხვეტავდნენ და ბოსტანში დაყრიდნენ, რომ ჭიას ბოსტნეული არ გაეფუჭებინა. შემდეგ უმძრახად (სიტყვის უთქმელად) წყალს მოიტანდნენ და ტანს დაიბანდნენ. ზოგან, მაგალითად სოფელ ერედვში ამ წესს დიდ ხუთშაბათს ასრულებდნენ.

კახეთში, ეშმაკი სახლში რომ ვერ შესულიყო, კარის ძელზე ცეცხლმოკიდებულ ეკალს ჰკიდებდნენ. ანთებული ცოცხით ან ფიჩხის კონით სახლს გარშემო რამდენჯერმე შემოურბენდნენ, რომ ეშმაკი მათ საცხოვრებელს ახლოსაც კი ვერ მიკარებოდა.

ხევსურებმა ამავე დღეს, ანუ კუდიან წუხრას, როგორც მას თავად უწოდებდნენ, მესმინაედ დაჯდომა ანუ კუდიანების სმინაობა, მოსმენა იცოდნენ. ვისაც კუდიანების საუბრის მოსმენა უნდოდა, ის ამ ღამეს სადმე შორს, გზის გასაყარზე, ჩუმად და ზურგშექცევით დაჯდებოდა. მესმინაედ დამჯდარი თავის გარშემო თითისტარით წრეს შემოავლებდა და გარშემო ნახშირს შემოიყრიდა. მესმინაე აუცილებლად მაგრად უნდა მჯდარიყო, არ განძრეულიყო და არ შეშინებოდა. ხალხის აზრით კუდიანებს ნახშირის წრის გადალახვა არ შეეძლოთ. ასევე მიაჩნდათ, რომ კუდიანები ძირითადად იმაზე ლაპარაკობდნენ, თუ ვინ როგორი ადამიანი იყო, ვინ რამდენ ხანს იცოცხლებდა, რითი და როდის გარდაიცვლებოდა. ხალხის რწმენით კუდიანები გამთენიისას ქრებოდნენ.

ხევსურეთში მას მერე, რაც ყველა ქალი ბუნაგს დაღბეჭდავდა ე.ი ყველაფერს, რაც სახლში ექნებოდათ ჯვრის ფორმით ნახშირს წაუსვამდა და იტყოდნენ: „ქრისტემ დაგკრას ბეჭედი, ქრისტის დედამ მარიამმა!“ ბავშვს ასკილის ტოტების მოსატანად გზავნიდნენ. ერთ ტოტს ნეხვზე არჭობდნენ და იტყოდნენ: „კუდიან ფეხშეკრული!“ ერთს კარის და საკვამურის თავზე შემოდებდნენ და იტყოდნენ: „კუდიანს შახმას (ე. ი. შეახმეს) ფეხი!“ ყოველივე ამის შემდეგ, მავნე სულების დასაფრთხობად სახლის წინ დიდ ცეცხლს ანთებდნენ, ბავშვები ოკებს ცეცხლს წაუკიდებდნენ, შორს გაისროდნენ და იტყოდნენ: „ჩვენს ნურას წაიღებთ, თავისა შასვითა, შეჭამეთ!“ ოკი არის ფრთა, რომელსაც ბავშვები ისარივით დამზადებულ ეკალს უკეთებდნენ. შემდეგ ოჯახის უფროსი სამ მუგუზალს აიღებდა, სახლის ბანზე ავიდოდა და წრის შემოხაზვის შემდეგ შორს გაისროდა, თან იტყოდა: „რიტი, რიტი კუდიანნო, ნუმც რა მიგაქვისთ ჩემი სახლისა ქვის მეტი, ხის მეტი, რკინის მეტი! თავისა შასვით და შაჭამეთ, თავისა შაიოთხშაბათეთ! დაგკრასთ ლახტი კოპალმა გულჩიო, გაგაგდებიასთ გულჩი“. საბოლოოდ, გადახტომის შემდეგ, ცეცხლს მიწაზე ფეხით სრესავდნენ და ამბობდნენ: ესემც დაიწვები ცეცხლშიო.

ფშავში ვნების ოთხშაბათს ყველა ოჯახი თავისი კარის წინ ჭიაკოკონას ანთებდა. კუდიანების დასაშინებლად თოფსაც ისროდნენ. საკვამურს, კარის თავზე, საპურეს, გოდრებს, ბოსლის კარს, გარეთ დაგროვილ ძროხის ნაკელს და სხვას ეკალს უკეთებდნენ, რადგან ხალხის რწმენით კუდიანებს ეკლის ეშინოდათ და „მადლ-ბარაქას“ ვერ დაუკარგავდნენ. მას შემდეგ, რაც ბავშვები დაიძინებდნენ, მათაც „დაბეჭდავდნენ“. ეს კი იმას ნიშნავდა, რომ ლოგინში მწოლიარე ბავშვებს შემდეგი სიტყვებით გადააყრიდნენ ნახშირს: „ჯვარი გეწეროსთ წმიდის გიორგის დაწერილი“. ეშმაკების შიშით მოხუცი ქალები ამ წესს სხვა დღეებშიც ასრულებდნენ, თან მწოლიარე ბავშვებს ჯვარსაც გადასახავდნენ.

თუ ქალი და ბავშვი გზაზე უკაცოდ მიდიოდა, მოხუცი ქალი ჯვარს გადასახავდა და უბეში ნახშირს ჩაუდებდა. კუდიან საღამოს ნახშირს ან ნაღვერდლებს გამოიტანდნენ და სახლის გარშემო მიმოაბნევდნენ.

გაგრძელება მე-8 გვ. -ზე

ჩვენთვის ყოველთვის ტკივილიან მოგონებად დარჩები

ჩვენი ოჯახის სიამაყევ, კარგო დედავ, მეუღლევ და ყველასთვის საყვარელო ადამიანო, ჩვენთვის შენგან მოყენებული ერთი მტკივნეული წელი გავიდა. რა უცებ გარბის დრო, გვგონია ეს გუშინ მოხდა. შენ ხომ ყველა ადამიანური ღირსების მქონე პიროვნება იყავი, – დიდთან დიდი, პატარასთან პატარა. ამავე დროს სტუმართმოყვარეობის და ზნეობის მატარებელი, კარგი პედაგოგი. შენს აღსაზრდელებს, შენს კოლეგებსაც დააკლდი, მაგრამ ავადმყოფური გაჭირვება ვერავინ შეგიმსუბუქეთ, ვერ მოვერიეთ შენს ვერაგ სენს. ისედაც კი, რომ ცოტა ხნით მაინც შენი სიცოცხლე გაგვეხანგრძლივებინა.

გარეგნულად მომხიბვლელი და მდიდარი სულის ადამიანიც იყავი. შენ ჩვენში, ჩვენს სამეგობროში, სანათესაოში, კოლეგებში და აღსაზრდელებში ყოველთვის მოუშუშებელ ტკივილად დარჩები. შენგან მიყენებულ ოჯახის სიცარიელეს ვერაფერი ვერ შეავსებს, კი გავმრავლდებით და უფალს ვთხოვთ, რომ ასე იყოს, მაგრამ ის სიცარიელე, სიცარიელედ დარჩება როგორც ოჯახში, ისე ჩვენს გულებში. მაგრამ ამაზეც გმადლობთ დედა, რომ ცოტა ხანს მაინც არსებობდი, რომ დაგვზარდე ასეთი კარგი შვილები, შვილიშვილები. შენს ამაგს შენი ოჯახის მიმართ არასოდეს დავივიწყებთ. ნათელი ფარავდეს შენს სამუდამო სასუფეველს.

მეუღლე თემურ ბერიანიძე,
შვილები: თიკა, გიორგი, ბექა, ალეკო;
რძლები: ნათია ბერიანიძე და მაია შაოშვილი;
შვილიშვილები: ქეთი, ნინუცა, თემუკა, ნიკუშა და დათიკო

ბერიანიძეების დიდო ტკივილო და მონატრებავ

ჩემო საყვარელო, თბილო ადამიანო, სიცოცხლეზე უზომოდ და ოჯახზე ათმაგად შეყვარებულო, შენს ახლობლებზე, შენს საოცნებო შვილებზე და შვილიშვილებზე, – ყველაზე, ვისაც შენთან ურთიერთობა ქონდა; წახვედი და დაგვიტოვე დიდი ტკივილი, ტკივილი, რომელსაც ვერ უძლებს შენი საყვარელი ქმარშვილი. ტკივილი, რომელსაც საკუთარმა დედამ ვერ გაუძლო შვიდი თვე და შენთან წამოვიდა. ტკივილი და მონატრება ხარ ახლობლების, მაზლების, მულის და მულისშვილების, მაზლისშვილების, რომლებიც საკუთარი შვილებივით გიყვარდა.

ულმობელია დრო, შეუჩერებლად მიდის, დავიწყების ბურუსში ხვევს ყველას და ყველაფერს. დიახ, მხოლოდ ხსოვნას შეუძლია ღირსეული ადამიანის სიცოცხლის გაგრძელება სიკვდილის შემდეგაც. ასეთი იქნები შენ, ნინო ბერიანიძე.

მენატრები. მიყვარხარ ჩემთვის ყველაზე საყვარელო ადამიანო!

ქეთინო ბერიანიძე

ჩვენ გვეამაყება, რომ ასეთი ღირსეული და ლამაზი სულის მეგობარი გვყავდა

ერთი ტკივილიანი და ცრემლიანი წელი გავიდა, რაც ჩვენს შორის აღარ ხარ და შენი მშვენიერი სული ზეციური მარადისობის ბინადარი გახდა. ნინო, როგორ გვაკლიხარ ყველას, პირველ რიგში შენს საყვარელ ოჯახს, მეუღლეს, შვილებს, შვილიშვილებს, შენს დიდ სანათესაოსა და მეგობრებს.

ჩვენო ლამაზო მეგობარო, ერთი წელია რაც უშენოდ ვიკრიბებით შენი სულიერი დები. ჩვენი შეხვედრები შენზე საუბრით იწყება და მთავრდება, ჩვენ ხომ ერთად ყოფნა ძალიან, ძალიან გვიყვარდა! შენ ხომ ყოველთვის ჩვენი სიხარულისა და ტკივილის თანამოზიარე და გვერდში მდგომი იყავი. სტუმარმასპინძლობაში უბადლო ქალს ადამიანთა დახმარებაშიც ბადალი არ გყავდა. შენი ოჯახის კარი ყოველთვის ღია იყო სტუმართათვის. შენ კი მუდამ სხვებზე ფიქრსა და ზრუნვაში გართულს საკუთარ ჯანმრთელობაზე ფიქრისთვის დრო ნაკლებად გრჩებოდა...

ნინო, ჩვენთვის მოუშუშებელი ტკივილი ხარ. ჩვენ ისღა დაგვრჩენია, მოგეფეროთ, გაგიხსენოთ, შენს შვილებსა და შვილიშვილებს მოვუყვეთ როგორი სიკეთითა და სიყვარულით სავსე მეუღლე, დედა, ბებია და მეგობარი იყავი.

ჩვენ გვეამაყება, რომ ასეთი ღირსეული და ლამაზი სულის მეგობარი გვყავდი. ვსაზრდოობთ შენგან დატოვებული სიკეთითა და სიყვარულით, მოგონებები გვათბობს, შენი დაკარგვის ტკივილი კი არასოდეს განელდება ჩვენში. ჩვენმა ანთებულმა სანთლებმა გაგინათოს გზა სასუფევლისკენ.

შენი მეგობრები ნუნუ ტუშური,
მარინა ზურაშვილი, ნინო ქურხული

ნინო ბერიანიძის ხსოვნას!..

მენატრები!!! ჰკივის ჩემში ისევ შენი მონატრება –
მენატრები!!! და სიშორეს მწარე სევდაც ემატება,
მენატრები!!! რა ვქნა თუ კი უშენობა ცრემლებს ჰბადებს
მენატრები!!! მინდა გითხრა ველარ უძლებს გული ამდენს...

მენატრები!!! სულ გახსოვდეს უსაზღვროა ჩემი სევდა,
მენატრები!!! მაგრამ ტირილს მხოლოდ ჩემთვის ჩუმად ვბედავ,
მენატრები!!! რა ვქნა თუკი უშენობას ველარ ვუძლებ,
მენატრები!!! სევდიანი კვლავ გავყურებ ნაცნობ ქუჩებს...

შენს ლოდინში ცრემლიანი კვლავ გავივლი ნაცნობ უბანს,
შენზე ფიქრში უშენობის კიდევ ბევრი ღამე გავა,
შენზე ფიქრში სწრაფად გადის სევდიანი მწარე წლები,
მაგრამ, რა ვქნა, მე თუ მაინც, რომ უსაზღვროდ მენატრები!!!

ლელა მირზიკაშვილისგან

გამოსათხოვარი

ნიკო სეფაშვილი



უკვე ორმოცი დღე გავიდა შენი გარდაცვალებიდან ჩვენო ნიკო. უსაშველოდ გვენატრები, მოუშუშებელი ჭრილობა, გულში სევდა-ნაღველი და ცრემლიანი თვალები დაგვიტოვე ყველას.

შენ ხომ ადამიანებთან ურთიერთობის საოცარ ნიჭს ფლობდი, ყველგან სიკეთეს და სიყვარულს თესდი, ამიტომაც უყვარდი ყველას და პატივს გცემდნენ.

81 წლის ასაკში დასრულდა შენი ლამაზი სიცოცხლე და შენმა სულმა მარადიულ სასუფეველში გადაინაცვლა. ერთი რამ გვაიმედებს, რომ სიცოცხლის მანძილზე სიკეთის მკეთებელს უფალი აუცილებლად დაგიმკვიდრებს ცათა სასუფეველს. ღმერთს ვთხოვთ, ნათელში ამყოფოს შენი ლამაზი, სპეტაკი სული.

ოჯახი

უშიშარი და ვაჟკაცური სულის მატარებელი იყავი

ორმოცი დღე გავიდა, რაც ჩვენს გვერდით აღარ ხარ, ჩვენო ნიკო. წახვედი და დაგვიტოვე დიდი ტკივილი და სიცარიელე. დასრულდა ჩვენი სისტემატური შეხვედრები და ერომანეთთან გვერდში დგომა.

უშიშარი და ვაჟკაცური სულის მატარებელი ადამიანი იყავი. დღე და ღამე შრომობდი ფიზიკურად, თავდაუზოგავად. მისდევდი მეცხოველეობას და სოფლის მეურნეობის სხვა დარგებს. უზომოდ გიყვარდა ტრაქტორები და სოფლის მეურნეობის მანქანა-იარაღები, რომლებიც შეიძინე და პირადად თვითონ მართავდი, უხვი მოსავლის მოყვანის დიდოსტატი იყავი და შენს ოჯახს ალალი შრომით აცხოვრებდი. განვლილი ცხოვრების უდიდესი ნაწილი ფიზიკურ შრომაში გალიე და შესანიშნავი ოჯახი დატოვე ამქვეყნად. თქვენი მეუღლე, ქალბატონი ელიზა მუდამ მხარში გედგა, საოჯახო და მეურნეობის საქმეებსაც შესანიშნავად უძღვებოდა, რომ შეემსუბუქებინა შენთვის ფიზიკური დატვირთვა, რათა დიდხანს გეცოცხლა, სამწუხაროდ მხარი მოსტეხე და ნაადრევად დატოვე ეს წუთისოფელი.

შენი შვილები იასე და მზია, შვილიშვილები ანანო, გიორგი და ნიკა, რძალი ლალი, სიძე მალხაზი ყოველთვის ამაყობენ და გააგრძელებენ შენს ვაჟკაცურ ტრადიციებს.

შენ ამ ქვეყნიდან წახვედი ოჯახისა და ქვეყნის წინაშე დიდად ვალმოხდილი.

ღმერთმა სასუფეველი დაგიმკვიდროს და ნათელში ამყოფოს შენი სული.

თანაკლასელები: ანგი გავაშელიშვილი,
მიშა გავაშელიშვილი, გივი იმერლიშვილი

ჯემალ ქამუკაშვილის გახსენება



ჩვენო უწყინარო, ჩვენი ოჯახისთვის ერთგულო და სიკეთით სავსე ადამიანო, ჯემალ, მოდის 5 აპრილი, შენი დაბადების დღე. ამბობენ, დრო მკურნალიაო, მაგრამ არა მგონია; ყოველ შემთხვევაში ჩვენთვის არა. დიდი განსაცდელი გამოიარე ცხოვრებაში. ვიცი, რომ რაც ბევრს ვილოცებ შენი სულისთვის, მეტ სანთელს აგინთებ, მეტ რიტუალებს ჩაგიტარებ, უფრო მეტ შვებას მივცემ შენს სულს – ამიტომ მინდა, რომ შენი სული ცათა სასუფეველში იყოს. მარტოდ მყოფი ყოველთვის გესაუბრები ხოლმე ყველაფერზე, როგორ ცხოვრობენ შენი შვილები, შვილიშვილები. იმაზე, რომ გყავს ძალიან კარგი და საყვარელი შვილთაშვილი გიორგი. შენ ხომ ძალიან კარგი მამა, პაპა და მეგობარიც იყავი. 5 აპრილს ამ ქვეყნიდან, ყველა ერთად მოგილოცავთ დაბადების დღეს. სადამდესაც იცოცხლე, იცხოვრე პატიოსანი კაცის სახელით. შენ შესანიშნავი ოჯახი დაგრჩა. მშვიდად განისვენე. მსუბუქი იყოს შენთვის ყვარლის მადლიანი მიწა და ნათელი ედგას შენს სამუდამო განსასვენებელს.

ოჯახი

ყვარლის ბაგა-ბაღების გაერთიანების თანამშრომლები მწუხარებაში თანაუგრძნობენ ამავე გაერთიანების დირექტორს, ქალბატონ მაია სამიტაშვილს მეუღლის დავით კაციტაძის გარდაცვალების გამო.

ხალხური მეთოდებით ფილტვების გაწმენდა — მწეველებისთვის

ვეწევით თუ თავს ვანებებთ მოწევას, ჩვენი ფილტვები ორივე შემთხვევაში საჭიროებს გაწმენდას, არსებობს ხალხური მეთოდები, რომლებიც ეფუძნება გარკვეულ გამოცდილებას, მცენარეულია და ეხმარება ჩვენს ფილტვებს.

გთავაზობთ რამდენიმე რეცეპტს:

• ერთ სუფრის კოვზ ევკალიპტის ფოთლებს 0,5 ლიტრი ადუღებული წყალი დაასხით, გააჩერეთ 60-90 წუთი, დაუმატეთ 1 სუფრის კოვზი თაფლი და გლიცერინი (იკითხეთ აფთიაქში). მიიღეთ ზედიზედ 30 დღის განმავლობაში, დოზით 50 გრ. 4-ჯერ დღეში;

• 6 ცალ დაფნის ფოთოლს დაასხით 0.25 ლიტრი ადუღებული წყალი, დატოვეთ ღამის განმავლობაში. მიიღეთ 60-70გრ. 3-ჯერ დღეში, ჭამამდე 30 წუთით ადრე;

• მოამზადეთ ნივრის ნაყენი: აიღეთ ერთი თავი ნიორი, გავფცქვენით და დააქუცმაცეთ, დაასხით 0.25 ლიტრი ადუღებული წყალი, გააგრილდეს და მიიღეთ ჭამამდე დღეში 3-ჯერ 50გრ. ეს ნაყენი ეფექტურად ასუფთავებს ორგანიზმს;

• ძირტკბილას (ლათ. Glycyrrhiza glabra L.) და ცაცხვის ნაყენი. დააქუცმაცეთ ძირტკბილას ფესვი, შეურიეთ ერთმანეთს თითო სუფრის კოვზი ძირტკბილას ფესვი და ცაცხვის ყვავილი, დაასხით 0.5 ლიტრი ადუღებული წყალი, დააყენეთ 30 წუთი და გადაწურეთ. მიიღეთ 3-ჯერ დღეში 150 მლ. მირების წინ შეათბეთ. კურსის ხანგრძლივობა 1 თვე;

• კულმუხოს (ლათ. Inula helenium L.) ფესვის ნაყენი. 15 გრ. დაქუცმაცებულ კულმუხოს ფესვს 250 მლ. კარგად ადუღებული წყალი დაასხით, დააფარეთ ჭურჭელს და გააჩერეთ 30 წუთი, შემდეგ 2-3 ჩაის კოვზი ნატურალური ტაფლი დაამატეთ. მიღებული სითხე უნდა მიიღოთ მთლიანად ერთი დღე-ღამის განმავლობაში.

სამკურნალოდ ხალხური მეთოდების გამოყენებისას, კონსულტაცია გაიარეთ ექიმთან.

ფრენბურთი – უმაღლესი ლიგა

„ყვარელი“ ეროვნული ჩემპიონატის ლიდერია

დასაწყისი 1-ელ გვ. -ზე

აქედან გამომდინარე, მეორე ტურისათვის, რომელიც 27 თებერვლიდან 4 მარტის ჩათვლით დედაქალაქში ჩატარდა, მიზნად დავისახეთ მაქსიმალური შედეგის მიღწევა და ჩვენი ფრენბურთელების სასახელოდ უნდა ითქვას, რომ მათ წარმატებით შეასრულეს დასახული ამოცანა. პირველ შეხვედრაში მხოლოდ ბათუმელებმა შეძლეს გარკვეული წინააღმდეგობის გაწევა, ამის შემდეგ კი ჩვენმა გუნდმა პირდაპირ გაანადგურა ქუთაისის, მესტიის, თბილისისა და ცაგერის კოლექტივები, ისე, რომ თამაშის ყველა კომპონენტში მთელი თავით მაღლა ვიდექით და აბსოლუტურად უშანსოდ დავტოვეთ ისინი. განსაკუთრებით პრინციპული იყო ბოლო ორი თამაში თბილისისა და ცაგერის გუნდებთან. თბილისელები ბევრს ეცადნენ, მაგრამ მათი ყველა მცდელობა ამაო აღმოჩნდა. ცაგერი კი ჩვენთან თამაშის წინ კვლავ ლიდერი იყო, მაგრამ ჩვენთან 0:3-ის შემდეგ ლიდერობაც დაკარგა.

ამრიგად, ჩვენმა ფრენბურთელებმა ხუთი თამაშიდან ხუთივე დამაჯერებლად მოიგეს და ორი ტურის შემდეგ 22 ქულით ეროვნული ჩემპიონატის ლიდერები გახდნენ. ეს კი იმას ნიშნავს, რომ დარჩენილი მესამე ტურის შედეგების მიუხედავად, მათ უკვე გაინაღდეს ჩემპიონატის პლეი-ოფში მონაწილეობის უფლება და გააგრძელებენ ბრძოლას ჩემპიონის ტიტულის მოსაპოვებლად.

ფრენბურთის გულშემატკივართა საყურადღებოდ, საჭიროდ მიგვაჩნია ძირითადი შემადგენლობის დასახელება, ვის მხრებზეც გადადის ტურის მთელი სიმძიმე ამ ჩემპიონატში: გიორგი ექიზაშვილი (კაპიტანი), ირაკლი ცინცაძე, რეზო წიკლაური, მამუკა ბერიაშვილი, ვანო დვალი, დათო დათეშიძე, გოგა ბუაძე. ეს, შეიძლება ითქვას,რომ ერთ-ერთი უძლიერესი და სტაბილური პირველი ექვსეულია, რომელსაც ყველა სერიოზული გუნდი ინატრებდა.

მათ გარდა ამ ტურში მონაწილეობდნენ გიორგი შიოშვილი, ვალერი ცისკარიშვილი, ლევან კონჭოშვილი, ნიკა ნარეკლიშვილი, გიორგი გერლიანი, რევი ჩიტაშვილი.

ეროვნული ჩემპიონატის მესამე ტური გაიმართება ყვარელში 28 მარტიდან 1 აპრილის ჩათვლით. ამ ტურის შემდეგ საბოლოოდ გაირკვევა გუნდების განლაგება სატურნირო ცხრილში და რაც ჩვენთვის ყველაზე საინტერესოა, გამოვლინდება ჩვენი მეტოქე გუნდის ვინაობა პლეი-ოფის ნახევარფინალში.

ასე, რომ 28 მარტიდან სპორტის მოყვარულებს ვიწვევთ ყვარლის სპორტსკოლაში ჩვენი ფრენბურთელების მხარდასაჭერად.

დასასრულს, არ შეიძლება საგანგებოდ არ აღინიშნოს ნეკრესის ეპარქიის მიტროპოლიტის მეუფე სერგის, ყვარლის მუნიციპალიტეტის საკრებულოს თავმჯდომარის ბატონ დავით ქევხიშვილის და ყვარლის მერის ბატონ როსტომ სესიაშვილის მიერ გამოვლენილი თანადგომა და ყურადღება, რისთვისაც მთელი გუნდის სახელით გამოვხატავთ დიდ მადლიერებას და ღრმა პატივისცემას მათ მიმართ. ასევე დიდ მადლობას მოვახსენებთ ჩვენს თანამოქალაქესა და ღირსეულ პიროვნებას ბატონ მიხეილ სამხარაულს ფინანსური მხარდაჭერისთვის, რამაც შესაძლებლობა მოგვცა ჯეროვან დონეზე წარგვემართა სპორტული შეკრებისა და გუნდის მომზადების პროცესი.

ალიმან ლაფაჩიშვილი,
გუნდის მწვრთნელი

ღონისძიება, რომელიც დაუნის სინდრომის საერთაშორისო დღეს მიეძღვნა

21 მარტი 2011 წელს გაერთიანებული ერების ორგანიზაციის ეგიდით დაუნის სინდრომის საერთაშორისო დღედ დაწესდა. მსოფლიოს მრავალ ქვეყანაში, მათ შორის საქართველოში, ამ დღეს დაუნის სინდრომის შესახებ ცნობიერების ამაღლების მიზნით სხვადასხვა ღონისძიებები იმართება.

დაუნის სინდრომით ყოველი 800 ბავშვიდან ერთი იბადება. დაუნის სინდრომის მქონე ბავშვი შესაძლოა ეყოლოს ნებისმიერ ადამიანს. დაუნის სინდრომი არა დაავადება, არამედ გენეტიკური ცვლილებაა. დაუნის სინდრომი არც მემკვიდრეობითია და არც გადამდები. დაუნი არ შეიძლება გამოიყენებოდეს დამაკნინებელ სიტყვად. დაუნი არის მეცნიერი, რომელმაც პირველმა აღწერა ეს სინდრომი.

2013 წელს დაუნის სინდრომის საერთაშორისო ორგანიზაციის ინიციატივით დამკვიდრდა „უთვალავი წინდის“ (LOTS OF SOCKS) ტრადიცია, რომლის მიზანიც მასობრივი სოლიდარობის ორიგინალურად გამოხატვაა. ფერადი წინდის შეძენით ადამიანები იქცევენ გარშემომყოფთა ყურადღებას, ხდებიან ინფორმაციის გამავრცელებლები და იღებენ სოციალურ პასუხისმგებლობას – წვლილი შეაქვთ დაუნის სინდრომის საერთაშორისო ორგანიზაციის ფონდში, რომელიც უფლებების დაცვასა და სტიგმის დაძლევაზე მუშაობს.

დაუნის სინდრომის საერთაშორისო დღესთან დაკავშირებით ყვარლის, ილია ჭავჭავაძის სახელმწიფო მუზეუმში, ყვარლის მუნიციპალიტეტის მერიისა და საკრებულოს მხარდაჭერით ჩატარდა უკვე ტრადიციად დამკვიდრებული ღონისძიება. ორგანიზატორები იყვნენ ილიას მუზეუმი და ყვარლის კულტურის განვითარების ცენტრი. მოწვეულები იყვნენ საქველმოქმედო კავშირის, „გრემის თემის“ ბენეფიციარები, რომლებმაც წაიკითხეს ქართველი პოეტების ლექსები.იმღერეს და მიესალმნენ დამსწრე საზოგადოებას.სპეციალურად მათთვის მოეწყო შესაბამისი თემატური ფილმის ჩვენება.

ღონისძიების დასასრულს, მოწვეულ სტუმრებს სამახსოვრო საჩუქრები და სიგელები გადასცეს კულტურის განვითარების ცენტრის დირექტორმა, ქალბატონმა მაია ზარდიაშვილმა და ილია ჭავჭავაძის მუზეუმის დირექტორმა, ქალბატონმა თამარ ზურიაშვილმა. ღონისძიება მიჰყავდა კულტურის განვითარების ცენტრის მთავარ სპეციალისტს, ქალბატონ მაგული სააკიშვილს.

ია გიგიაშვილი

წყლის საერთაშორისო დღეს ყვარელი აქციით შეურთდა

გაეროს გენერალური ასამბლეის გადაწყვეტილებით, 22 მარტს წყლის საერთაშორისო დღე აღინიშნება. მიზანი წყლის რესურსების მართვისა და რაციონალური მოხმარების საკითხებზე საზოგადოების ყურადღების გამახვილება და გარემოსდაცვითი ცნობიერების ამაღლებაა. ღონისძიება ყოველწლიურად, საქართველოს „მწვანეთა მოძრაობა დედამიწის მეგობრები-საქართველოს“ ორგანიზაციის ორგანიზებითა და ადგილობრივი ხელისუფლების წარმომადგენლების მონაწილობით იმართება. ყვარლის მუნიციპალიტეტი ამ დღეს, მასშტაბური დასუფთავების აქციით გამოეხმაურა და მთელი მუნიციპალიტეტის ტერიტორიაზე, თანამშრომელთა ჩართულობით მორიგი აქცია გამართა. ღონისძიებაში მონაწილეობა ტერიტორიულ ერთეულებში მერის წარმომადგენლებმაც მიიღეს. დასუფთავდა მდინარის ხეობები, გზები და ტყის პირები.

ჭიაკოკონობა – რა ვიცით ამ „წარმოდგენის“ შესახებ?

დასაწყისი მე-6 გვ. -ზე

ფშავლების თქმით, ვინაიდან „ოთხშაბათი კუდიანი დღე იყო“, კუდიანებს ღვთისშვილებისა და ღმერთის ნებით ქვეყანაზე სიარულის უფლება ჰქონდათ. ამ დღეს ქალებსა და ბავშვებს ძალიან ეშინოდათ გარეთ გამოსვლა. კუდიანებს, რომლებიც ხალხის რწმენით ქალებიც იყვნენ და კაცებიც, ნებისმიერი ადამიანის ვნება შეეძლოთ. მსხვერპლი ავად ხდებოდა და კვდებოდა. ხალხის აზრით კუდიანები ადამიანებს თავსაც აკვლევინებდნენ ან თვითონვე ხოცავდნენ ზვავით, წყლით ან ქვით. ისინი შინაურებსაც არ ინდობდნენ. თუ რომელიმე დაინდობდა, მათი უფროსი – როკაპი მასაც მოკლავდა. კუდიანს სასჯელისაგან მხოლოდ თავისი კუდიანობის სახალხო, საჯარო აღიარება თუ იხსნიდა. ხალხის თქმით კუდიანი დედაკაცი ძალიან მავნე და დაუზოგავია, კაცი – არა. კუდიანი კაცი მშვიდია, ვინმეს ვნებას ვერც კი ავალებდნენ, რადგან დავალებას არ შეასრულებდა. იგი ყოველთვის იცავდა თავის გვარს, ნათესაობას და ყოველ ღონეს იხმარდა, თავისიანები მოსალოდნელი უბედურებისაგან დაეცვაო. ფშავლები იტყოდნენ: „ნეტავი იმ მამიშვილობას, რომელ მამიშვილობაშიც კუდიანი კაცია და ვაი იმ მამიშვილობას, ვის მამაშიც კუდიანი დედაკაციაო“. კუდიანობის უნარის დაკარგვა მხოლოდ გამოტეხვის, აღიარების შემდეგ იყო შესაძლებელი. სჯეროდათ, რომ კუდიანებს შეეძლოთ მონადირეებისათვის სახიფათო გზები უხიფათოდ მოეჩვენებინათ. ამიტომ მონადირე და მგზავრი ისე არ გაივლიდა სახიფათო ადგილებს, რომ სავალი არ შეემოწმებინა, ღმერთი არ ეხსენებია და პირჯვარი არ გადაეწერა. ხალხის აზრით კუდიანი ადამიანი შავია.

http://www.ambioni.ge/

როგორ ავიმაღლოთ იმუნიტეტი

დასაწყისი მე-5 გვ. -ზე

ზაფხულში მისი წყარო მზის სინათლეა, ხოლო ზამთარში, მისი მზიანი დღეები იშვიათია, საჭიროა კარგი განწყობის დამატებითი წყაროები: მწარე შოკოლადი, ბანანი. ვირუსებისგან საიმედოდ იცავს ცისტეინი – ნივთიერება, რომელიც ლორწოვან გარსებს გარეგანი გამღიზიანებლებისთვის შეუღწეველს ხდის. ყველაზე მეტ ცისტეინს შეიცავს თევზი, სოია, ყველი, ინდაურის ხორცი და მარცვლეული. გაციებისას საუკეთესოა ქათმის ბულიონი – ის ავადმყოფობის შემდეგ ძალების აღდგენაში დაგვეხმარება. ზამთარშივე უნდა ვიზრუნოთ იმისთვის, რომ ორგანიზმი მუდმივად შევავსოთ ძალზე აუცილებელი ასკორბინის მჟავას – C ვიტამინის – მარაგით. მისი ტრადიციული წყაროა ციტრუსი, ასკილი, კომბოსტოს მწნილი, ლიმონი, შტოში.

მოთენთილობა და აპათია იმუნიტეტის დასუსტების უტყუარი ნიშნები არ არის. საბოლოო დიაგნოზი ექიმმა იმუნოლოგმა უნდა დასვას, მაგრამ იმუნური სისტემის დაქვეითებაში შეიძლება დაგვაეჭვოს:

- ხშირმა (წელიწადი სამ-ოთხჯერ მაინც) და ხანგრძლივმა (2 კვირაზე მეტხანს მიმდინარე) გაციებამ;
- ქრონიკულმა ინფექციებმა (ფურუნკულოზმა, ანგინამ, პნევმონიამ, ოტიტმა, ჰაიმორიტმა);
- მუდმივმა სუბფებრილურმა (37-დან 38 გრადუსამდე) ტემპერატურამ.

იმუნიტეტის სტიმულირება შესაძლებელია აცრებით, მედიკამენტებით, ზოგადგამაჯანსაღებელი საშუალებებით. იმუნური პრეპარატების მისაღებად აუცილებელია კონკრეტული მონაცემები. არავითარ შემთხვევაში არ შეიძლება მათი მიღება კონტროლის გარეშე! თავდაპირველად საჭიროა იმუნოლოგის კონსულტაცია, შემდეგ – სისხლის სპეციალური ანალიზები. მხოლოდ იმუნოგრამის შედეგის საფუძველზე შეუძლია ექიმს, შეარჩიოს კონკრეტული, ეფექტური და უსაფრთხო იმუნომოდულატორი. ალალბედზე შერჩეულმა ან თავს მოხვეული რეკლამის მიხედვით მიღებულმა წამალმა შესაძლოა ძლიერ ავნოს თქვენს ჯანმრთელობას, ამიტომ ყველა საშუალება მხოლოდ ექიმთან კონსულტაციის შემდეგ მიიღეთ. იმუნიტეტის უსაფრთხოდ განმტკიცებაში სპორტი, გაკაჟება და სწორი კვება დაგეხმარებათ.

გაზეთი ხელმძღვანელობს თავისუფალი პრესის პრინციპით. დამფუძნებელია ყვარლის მუნიციპალიტეტის საკრებულო, ხოლო გამომცემელი შპს „მედია ცენტრი“. გაზეთში გამოქვეყნებული წერილების ავტორთა თვალსაზრისი შესაძლოა არ ემთხვეოდეს რედაქციისას. ავტორები თავად აგებენ პასუხს მასალაში მოტანილი ფაქტების, არგუმენტებისა თუ ციტატების სიზუსტეზე. შემოსული წერილები ავტორებს არ უბრუნდებათ.

დირექტორი
ალექსანდრე გიგილოშვილი
მოადგილე
ნუგზარ ღონიაშვილი

პასუხისმგებელი მდივანი
ია გიგიაშვილი
კორესპონდენტი
დალი ტატულიშვილი

რედაქციის მისამართი:
ქ. ყვარელი, კუდიგორის №2
საკონტაქტო ტელეფონი:
22-01-86